

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №01-06/04
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების

სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების

სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების

სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და

ბუნებრივი რესურსების საკითხების

კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

7. ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის შესყიდვების განყოფილების უფროსი: გივი დევაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

8. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2023 გაწეული მუშაობის ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და

მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

9. 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრში არსებული ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის

დირექტორი: ჯამბულ სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

10. 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში არსებული ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის

დირექტორი: ირინე დევაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

11. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

12. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2024 წლის -- მარტი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის -- აპრილი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის -- აპრილი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ცნობა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2024 წლის -- აპრილის დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2024 წლის -- აპრილს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის -- აპრილი.

პროექტი



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № - -

2024 წლის - - მარტი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge, 22/09/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.134.016351) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	მოხელის თანამდებობათა რანგები	პოზიციის/თანამდებობის დასახელება	შტატის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
პოლიტიკური თანამდებობის პირები				
1	მერი		1	6122
2	მერის პირველი მოადგილე		1	4658
3	მერის მოადგილე		1	4259
ადმინისტრაციული სამსახური				
4	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	1	2660
5	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფლის მეურნეობისა და მთის განვითარების საკითხებში	1	1729
6		პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში	1	1729
7		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში	1	1596
იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება				
8	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	1	2128
9	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	1729
10		პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1	1729
11		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1	1596
საქმისწარმოების განყოფილება				
12	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	საქმისწარმოების განყოფილების უფროსი	1	2128
13	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1	1729
14	IV რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1	1596

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება				
15	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	1	2128
16	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასა და მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში	1	1729
17		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასა და მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში	1	1596
მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილება				
18	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	1	2128
19	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებში	1	1596
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური				
20	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი	1	2660
ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილება				
21	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი	1	2128
22	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში	1	1729
სახაზინო განყოფილება				
23	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	სახაზინო განყოფილების უფროსი	1	2128
24	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ხაზინის საკითხებში	1	1729
ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება				
25	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი	1	2128
26	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში	1	1729

27		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში	1	1596
ეკონომიკური განვითარების სამსახური				
28	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი	1	2660
29	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკონომიკის დაგეგმვისა და განვითარების საკითხებში	1	1729
ქონების მართვის განყოფილება				
30	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ქონების მართვის განყოფილების უფროსი	1	2128
31	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქონების საკითხებში	1	1729
32		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქონების საკითხებში	2	1596
შესყიდვების განყოფილება				
33	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	შესყიდვების განყოფილების უფროსი	1	2128
34	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში	1	1729
სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური				
35	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი	1	2660
მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილება				
36	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი	1	2128
37	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში	1	1729
38		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში	1	1596

ზედამხედველობის სამსახური				
39	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ზედამხედველობის სამსახურის უფროსი	1	2660
40	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ზედამხედველობის საკითხებში	2	1596
განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური				
41	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის უფროსი	1	2660
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და ძველთა დაცვის განყოფილება				
42	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	განათლების, კულტურის, ტურიზმისა და ძველთა დაცვის განყოფილების უფროსი	1	2128
43	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი განათლებისა და კულტურის საკითხებში	1	1596
44		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ტურიზმისა და ძველთა დაცვის საკითხებში	1	1596
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება				
45	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი	1	2128
46	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში	2	1729
47		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში	1	1596
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური				
48	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი	1	2660
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილება				
49	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი	1	2128

50	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში	1	1729
51		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში	1	1596
52		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალური მუშაკი	1	1596
53		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სტიქიის საკითხებში	1	1596
ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება				
54	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი (კოორდინატორი)	1	2128
55	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ბავშვთა სოციალური მუშაკი	1	1729
56		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ინსპექტორი	1	1596
57		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -იურისტი	1	1596
შიდა აუდიტის სამსახური				
58	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი	1	2660
59	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შიდა აუდიტის საკითხებში	1	1596
ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციები				
60	მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში		10	1573
61	სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში		22	1210

“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ
„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების
დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის
(დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საჯარო მოხელეთა
განსაზღვრულ თანამდებობრივ რანგებსა და კატეგორიებში ცვლილების შეტანა.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო
ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანა და
დადგენილებით დამტკიცებული დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დაამტკიცოს და მასში ცვლილება შეიტანოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება მოქმედი დადგენილებით დამტკიცებულ დანართით განსაზღვრულ თანამდებობრივი რანგებსა და კატეგორიებში ცვლილების შეტანა, რომელიც წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად დადგენილების დანართი ახლიდან ჩამოყალიბდა და განსაზღვრულია შემდეგნაირად იხ. დადგენილების პროექტი.

აქედან გამომდინარე დადგენილებით დამტკიცებული დანართში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები **კერძოდ:**

განხორციელდა 2 (ორი) საშტატო ერთეულის კატეგორიის ცვლილება მათ შორის:

- **სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა** განყოფილებას დაემატა 1 საშტატო ერთეული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში სადაც იგეგმება კარიერული განვითარების გზით მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში დასაქმებული პირის გადაყვანა, შესაბამისად ამ პროცესის დასრულების შემდეგ მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი გაუქმდება.

- **საზოგადოებასთან ურთიერთობის** განყოფილებას დაემატა 1 საშტატო ერთეული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასა და მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში, სადაც იგეგმება კარიერული განვითარების გზით მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასა და მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში დასაქმებული პირის გადაყვანა, შესაბამისად ამ პროცესის დასრულების შემდეგ მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი გაუქმდება.

ასევე განხორციელდა 3 (სამი) საშტატო ერთეულის გაუქმება, რადგან კონკურსის მემვეობით კარიერული განვითარების გზით განხორციელდა მათი კატეგორიებში დაწინაურება/ცვლილება, შესაბამისად უნდა გაუქმდეს შემდეგი შტატები:

- სახაზინო განყოფილებაში, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ხაზინის საკითხებში.

- ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილებაში, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში.

- **სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა** განყოფილებაში 1 საშტატო ერთეული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში.

აქედან გამომდინარე დადგენილებით დამტკიცებული დანართის სხვა ნაწილები დარჩა უცვლელად მხოლოდ დანართის ნუმერაცია ახლიდან ჩამოყალიბდა.

დადგენილების მე-2 მუხლი აწესებს მისი ძალაში შესვლის საკითხებს შემდეგი სახით:

„დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას სარგოებში არსებული სხვაობის შესავსებად.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს ასეთის არსებობის შემთხვევაში იგი სრულად დაფინანსდება ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტი სრულ შესაბამისობაშია და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი (ბადრი სურმანიძე).

ზ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2024 წლის -- მარტი
დაბა ქედა

„ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის -- აპრილი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის -- აპრილი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული);

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2024 წლის -- აპრილის დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2024 წლის -- აპრილს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ დადგენილების გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის -- აპრილი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2024 წლის -- მარტი

დაბა ქედა

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესი“, თანახმად დანართისა.

2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის მიზნით ამ დადგენილების ამოქმედებამდე ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებული წარმოება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას და გრძელდება წინამდებარე დადგენილების შესაბამისად.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის ქონების მყიდველის, სარგებლობაში/მართვის უფლებით მიმღები პირების მიერ, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე ოქმით/ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების ან/და ვალდებულებების შეცვლის/დამატებითი ვადის მიცემის (პირგასამტეხლოს გარეშე) თაობაზე განცხადების წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებსა და პროცედურებს.

მუხლი 2. უფლებამოსილების განხორციელების მიზანი და პრინციპები

წინამდებარე წესით განსაზღვრული პროცედურები უნდა განხორციელდეს საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული სხვა პრინციპების დაცვით.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ქონება – ქედის მუნიციპალიტეტის ქონება;
- ბ) მერი – ქედის მუნიციპალიტეტის მერი;
- გ) საკრებულო – ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- დ) მერია – ქედის მუნიციპალიტეტის მერია;
- ე) ეკონომიკური განვითარების საბჭო – ქედის მუნიციპალიტეტის მერის ეკონომიკური განვითარების საბჭო;
- ვ) ინვესტორი – ქონების მყიდველი, სარგებლობაში/მართვის უფლებით მიმღები, რომელსაც მერიასთან გაფორმებული ოქმით ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი აქვს შესაბამისი ვალდებულებები;
- ზ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია – საქართველოს რეზიდენტი ბანკის, სხვა საკრედიტო დაწესებულების ან სადაზღვევო ორგანიზაციის (გარანტის)

მიერ სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით ნაკისრი წერილობითი ვალდებულება, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად უპირობოდ გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 4. წესის მოქმედება

1. წესის მოქმედება ვრცელდება იმ ინვესტორების მიმართ, რომლებსაც მერიასთან გაფორმებული ოქმით ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი აქვთ შესაბამისი ვალდებულებები და მიმართავენ მერიას პრივატიზებულ, სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემულ ქონებაზე გაფორმებული ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეცვლის/დამატებითი ვადის მიცემის (პირგასამტეხლოს გარეშე) ან/და ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების მოთხოვნით.

2. წესის მოქმედება ვრცელდება როგორც ფიზიკურ პირებზე, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, ასევე იურიდიულ პირებზე, მიუხედავად მათი რეზიდენტობისა.

3. წესის მოქმედება, ამავე წესით განსაზღვრული ვადების დაცვით ვრცელდება იმ ინვესტორების მიმართაც, რომლებსაც წესის ძალაში შესვლამდე გააჩნდათ შეუსრულებელი ვალდებულებები მერიის წინაშე და ამ წესის ძალაში შესვლამდე მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად არ წარმოუდგენიათ უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ან/და წარმოადგინეს საბანკო გარანტია ამ წესის ძალაში შესვლამდე მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ვადების დარღვევით.

4. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ინვესტორს შესრულებული აქვს ოქმით/ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და შესასრულებელი აქვს მხოლოდ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება.

5. ამ წესის შესაბამისად საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო არ ექვემდებარება გათავისუფლებას ან/და საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის გადასახდელად დამატებითი ვადის მიცემას პირგასამტეხლოს დაკისრების გარეშე და ინვესტორი ვალდებულია გადაიხადოს აღნიშნული პირგასამტეხლო მერიის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

მუხლი 5. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, საბანკო გარანტიის ოდენობა და მოქმედების ვადები

1. მერია პრივატიზებულ, სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემულ ქონებაზე გაფორმებული ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეცვლის/დამატებითი ვადის მიცემის (პირგასამტეხლოს გარეშე) ან/და ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების თაობაზე ადმინისტრაციულ წარმოებას იწყებს ინვესტორის

განცხადების საფუძველზე, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

2. განცხადება ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ, ხოლო წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ განცხადების ხელმოწერის შემთხვევაში, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. განცხადებასთან ერთად ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, თუ მოთხოვნილია მხოლოდ ვალდებულებების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრა ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეცვლა, ქონების საპრივატიზებო საფასურის (მაგრამ არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ განსაზღვრული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის) 5%, მაგრამ არანაკლებ 5 000 და არაუმეტეს 100 000 ლარისა.

4. ინვესტორი ვალდებულია მერიის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტია. განსაზღვრულ ვადაში უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენლობის შემთხვევაში, ინვესტორის დასაბუთებული შუამდგომლობის გათვალისწინებით, მერია უფლებამოსილია გონივრული ვადით გააგრძელოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვადა.

5. თუ ინვესტორის მიერ წარმოდგენილ განცხადებას თან არ ერთვის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად, მერია ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლით.

6. ინვესტორებს, რომლებიც ამ წესის ძალაში შესვლამდე მოქმედი სამართლებრივი აქტების ან/და ამ წესის შესაბამისად გათავისუფლდნენ (მათ შორის პირობით გათავისუფლება) ოქმით/ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან ან/და შეეცვალათ ვალდებულებები და მიეცათ დამატებითი ვადები (პირგასამტეხლოს გარეშე) და განმეორებით მიმართავენ მერიას ოქმით/ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების ან/და ვალდებულების შეცვლის/დამატებითი ვადის მიცემის (პირგასამტეხლოს გარეშე) მოთხოვნით, მათ მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უპირობოდ ირიცხება ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში და ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წარმოსადგენი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი (მათ შორის პროცენტულ გამოხატულებაში) ორმაგდება (არაუმეტეს 200000 ლარისა) და ყოველი შემდეგი მომართვისას უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენა ხორციელდება იმავე პრინციპით/ოდენობით.

7. ინვესტორებმა, რომლებსაც საპრივატიზებო პირობად ჰქონდათ (აქვთ/ექნებათ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენის

ვალდებულება და მოითხოვენ პრივატიზებულ/სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემულ ქონებაზე გაფორმებული ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეცვლას/დამატებითი ვადის მიცემას (პირგასამტეხლოს გარეშე) ან/და ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებას უნდა უზრუნველყონ უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის შესაბამისი ვადით გაგრძელება. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი მისთვის შეთანხმების აქტის საფუძველზე ერთჯერადად განსაზღვრულ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და მოითხოვს პრივატიზებულ/სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემულ ქონებაზე გაფორმებული ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეცვლას/დამატებით ვადის მიცემას (პირგასამტეხლოს გარეშე) ან/და ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებას, მერია გამოიხმობს არსებულ უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას ამ მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად, რის შემდეგაც ინვესტორი ვალდებულია წარმოადგინოს/შეავსოს ახალი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში არსებული საბანკო გარანტია უპირობოდ ირიცხება ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში.

8. თუ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ მოთხოვნილია პრივატიზებულ/სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემულ ქონებაზე გაფორმებული ოქმის/ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული პირობების/ვალდებულების დაგვიანებით შესრულებისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლება, ასეთ შემთხვევაში მან უნდა წარმოადგინოს აკრედიტირებული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ოქმით/ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების თაობაზე

9. თუ ინვესტორის მიერ მოთხოვნილია ერთდროულად ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეცვლა/დამატებითი ვადის მიცემა (პირგასამტეხლოს გარეშე) და ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლება, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის ოდენობა დათვლილი უნდა იქნეს დაკისრებული პირგასამტეხლოს მოცულობიდან, ხოლო თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს მოცულობიდან წარმოსადგენი საბანკო გარანტიის ოდენობა ნაკლებია ქონების საპრივატიზებო საფასურის (მაგრამ არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ განსაზღვრული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა) შესაბამისად წარმოსადგენ საბანკო გარანტიის ოდენობაზე, მაშინ საბანკო გარანტიის ოდენობა დათვლილი უნდა იქნეს უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან (მაგრამ არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ განსაზღვრული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა).

10. ამ წესის შესაბამისად წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ ორი თვით უნდა აღემატებოდეს ოქმით ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადას, გარდა

პროფილისა და დასაქმებულთა რაოდენობის შენარჩუნების ვალდებულებების შემთხვევებისა, ხოლო მხოლოდ პროფილისა და დასაქმებულთა რაოდენობის შენარჩუნების ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს გაცემიდან არანაკლებ 2 (ორი) წლის ვადით.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა

1. ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საბანკო გარანტიის წარმოდგენლობის ან/და ეკონომიკური განვითარების საბჭოს მიერ საკითხთან დაკავშირებით უარყოფითი რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში მერია უფლებამოსილია, დაიწყოს ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის პროცედურები.

2. ოქმით/ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ წესის შესაბამისად უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა უპირობოდ ირიცხება ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში, მიუხედავად დაკისრებული პირაგსამტეხლოს ოდენობისა, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ემსახურება არამხოლოდ პირაგსამტეხლოს ანაზღაურებას, არამედ ოქმით/ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირობების შეცვლას და ამ ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირაგსამტეხლო აღემატება უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიით განსაზღვრულ თანხას, დასაკისრებელი პირაგსამტეხლო შემცირდება გამთხოვილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის შესაბამისად.

3. ამ წესის შესაბამისად ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეცვლის/დამატებითი ვადის მიცემის (პირაგსამტეხლოს გარეშე) ან/და ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირაგსამტეხლოსაგან გათავისუფლების საკითხის ხელახლა (განმეორებით) განხილვის მიზნით ინვესტორმა მერიას დამატებით უნდა წარუდგინოს ამ წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული მოცულობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია.

მუხლი 7. განცხადების განხილვის პროცედურა და გადაწყვეტილების მიღება

1. წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების წინამდებარე წესის მოთხოვნებთან შესაბამისობას ადასტურებს მერია.

2. განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში მერია წარმოდგენილ დოკუმენტაციას განსახილველად წარუდგენს ეკონომიკური განვითარების საბჭოს.

3. ეკონომიკური განვითარების საბჭოს მიერ საკითხზე დადებითი რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში მერია ამზადებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს, რომელთა გამოცემის შემდგომ მერია ახორციელებს აღნიშნული აქტებითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

4. ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება ეკონომიკური განვითარების საბჭოს მიერ საკითხზე დადებითი რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში.

5. მერია უფლებამოსილია გასცეს თანხმობა ინვესტორს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის შემცირებაზე, თუ მის მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა აღემატება ამ წესის მე-5 მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილ ვადებს.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება, რომლის შესაბამისად შემუშავებული იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესი, განსაზღვრა ქედის მუნიციპალიტეტის ქონების მყიდველის, სარგებლობაში/მართვის უფლებით მიმღები პირების მიერ, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე ოქმით/ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების ან/და ვალდებულებების შეცვლის/დამატებითი ვადის მიცემის (პირგასამტეხლოს გარეშე) თაობაზე განცხადების წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ახალი რეგულაციების დანერგვა, რომელიც მიზნად ისახავს საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობას და ამ მიზნით წარმოდგენილი წინამდებარე წესით განსაზღვრული პროცედურები ეფუძნება საჯარო და კერძო ინტერესების დაცვასა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული სხვა პრინციპების გაზიარებას.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე დაამტკიცოს „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესი“ რომელიც წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ჩამოყალიბდა და განსაზღვრულია შემდეგნაირად იხ. დადგენილების პროექტი.

ასევე განმარტავთ, რომ დადგენილების პირველი მუხლით ხდება „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესი“-ს დამტკიცება და მისი მოქმედება ვრცელდება იმ ინვესტორების მიმართ, რომლებსაც მერიასთან გაფორმებული ოქმით ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი აქვთ შესაბამისი ვალდებულებები და მიმართავენ მერიას პრივატიზებულ, სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემულ ქონებაზე

გაფორმებული ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეცვლის/დამატებითი ვადის მიცემის (პირგასამტეხლოს გარეშე) ან/და ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების მოთხოვნით, როგორც ფიზიკურ პირები, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, ასევე იურიდიულ პირები, მიუხედავად მათი რეზიდენტობისა.

ასევე წარმოდგენილი ნორმატიული აქტი ითვალისწინებს ქედის მუნიციპალიტეტის ქონების მყიდველის, სარგებლობაში/მართვის უფლებით მიმღები პირების მიერ, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე ოქმით/ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების ან/და ვალდებულებების შეცვლის/დამატებითი ვადის მიცემის (პირგასამტეხლოს გარეშე) თაობაზე განცხადების წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პირობებს და პროცედურებს შესაბამისად ამ მიზნით წარმოდგენილი წესით განისაზღვრა და მოწესრიგდა შემდეგი საკითხები, კერძოდ: წესის მოქმედების სფერო, ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, საბანკო გარანტიის ოდენობის განსაზღვრა და მისი მოქმედების ვადები, პასუხისმგებლობა, განცხადების განხილვის პროცედურები და გადაწყვეტილების მიღების საკითხები.

დადგენილების მე-2 მუხლი აწესებს ცალკე რეგულაციას შემდეგი სახით:

„ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის მიზნით ამ დადგენილების ამოქმედებამდე ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებული წარმოება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას და გრძელდება წინამდებარე დადგენილების შესაბამისად.“

დადგენილების მე-3 მუხლი აწესებს მისი ძალაში შესვლის საკითხებს შემდეგი სახით:

„დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტი სრულ შესაბამისობაშია და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი (სულიკო ბოლქვაძე).

ზ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2024 წლის -- მარტი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის
ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილებისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2024 წლის 29 თებერვლის №10 განკარგულების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებები, თანახმად დანართი №1-სა.
2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე).
4. ამ განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალამემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტი
2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

N	ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	მოსახლეობის რაოდენობა	გამოყოფილი თანხა	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	დანდალო	დანდალო	347	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
2		ბალაძეები	116	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
3		გოგიაშვილები	194	10000	საერთო სარგებლობის წისქვილის რეაბილიტაცია	10000	
4		მოსიაშვილები	169	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
5		ტაკიძეები	186	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
6		ხარაულა	639	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
7		ჯალაბაშვილები	310	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
ჯამი				80000		80000	
8	ცხმორისი	ცხმორისი	600	16000	მზა ბეტონის შედენა	16000	
9		ახო	594	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
10		გეგელიძეები	428	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
11		გობრონეთი	251	12000	სანიაღვრე არხის მოწყობა	12000	
12		კოკოტაური	545	16000	მზა ბეტონის შედენა	16000	
13		ჩეტკიძეები	187	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
ჯამი				86000		86000	
14	წონიარისი	წონიარისი	499	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
15		აბუქეთა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
16		ვარჯანისი	185	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
17		კანტაური	76	10000	მზა ბეტონის შედენა	10000	
18		საბადური	57	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
19		ტიბეთა	154	10000	მზა ბეტონის შედენა	10000	
20		სასადილოყელი	17	10000	მზა ბეტონის შედენა	10000	
ჯამი				78000		78000	
21	ზვარე	ზვარე	201	12000	მზა ბეტონის შედენა	12000	
22		ვაიო	409	16000	მზა ბეტონის შედენა	16000	
23		ზესოფელი	205	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
24		კვამტა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
25		სირაბიძეები	252	12000	მზა ბეტონის შედენა	12000	
ჯამი				64000		64000	
26	დაბა ქედა	არსენაული	89	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
27		აქუცა	262	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
28		გულეები	235	12000	მზა ბეტონის შედენა	12000	
29		ზენდიდი	297	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
30		კორომხეთი	160	10000	მზა ბეტონის შედენა	10000	
31		ორცვა	232	12000	მზა ბეტონის შედენა	12000	
32		ქედა	149	10000	მზა ბეტონის შედენა	10000	
33		შევაბური	89	10000	2 სანიაღვრე არხის მოწყობა	3000	
						გარე განათების მოწყობა	7000

34		ცხემნა	156	10000	მზა ბეტონის შედენა	10000	
35		მენწმანი	197	10000	მზა ბეტონის შედენა	10000	
36		ხუნკუდა	122	10000	სასაფლაოს შემოღობვა	10000	
ჯამი				118000		118000	
37	პ/მაისი	პ/მაისი	525	16000	მზა ბეტონის შედენა	16000	
38		ზედა აგარა	106	10000	მზა ბეტონის შედენა	10000	
39		კოლოტაური	473	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
40		ქვედა აგარა	109	10000	მზა ბეტონის შედენა	10000	
ჯამი				52000		52000	
41	მახუნცეთი	ქვ/მახუნცეთი	439	16000	მზა ბეტონის შედენა	12300	
					გარე განათების მოწყობა	3700	
42		ზედა ბზუბზუ	306	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
43		ზ/მახუნცეთი	203	12000	მზა ბეტონის შედენა	12000	
44		ზუნდაგა	299	12000	გარე განათების მოწყობა	7000	
					მზა ბეტონის შედენა	5000	
45		ქვედა ბზუბზუ	261	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
46		ქოსოფელი	72	10000	მზა ბეტონის შედენა	10000	
47		მილისი	123	10000	მზა ბეტონის შედენა	10000	
48		ნამლისევი	158	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
49	უჩხითი	260	12000	მზა ბეტონის შედენა	12000		
ჯამი				106000		106000	
50	დოლოგანი	დოლოგანი	417	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
51		ქალახმელა	162	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
52		ჭინკაძეები	202	12000	მზა ბეტონის შედენა	12000	
ჯამი				38000		38000	
53	ოქტომბერი	ოქტომბერი	247	12000	მზა ბეტონის შედენა	12000	
54		აგოთა	122	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
55		გოგინძეები	95	10000	მზა ბეტონის შედენა	10000	
56		კუჭულა	201	12000	მზა ბეტონის შედენა	3000	
					გარე განათების მოწყობა	9000	
57	მეძიბნა	188	10000	მზა ბეტონის შედენა	10000		
ჯამი				54000		54000	
58	მერისი	მერისი	300	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
59		გარეტყე	89	10000	მზა ბეტონის შედენა	10000	
60		გუნდაური	218	12000	მზა ბეტონის შედენა	12000	
61		ინაშარიძეები	200	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
62		ნამონასტრევი	60	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
63		სილიბაური	117	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
64		სიხალიძეები	148	10000	საერთო სარგებლობის წისქვილის მშენებლობა	10000	
ჯამი				74000		74000	
სულ ჯამი				750000		750000	

განმარტებითი ბარათი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილებისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2024 წლის 29 თებერვლის №10 განკარგულების მოთხოვნათა შესრულება, შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხის ფარგლებში მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების სამართლებრივ რეგულაცია.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 29 თებერვლის №10 განკარგულებით, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის გამოყოფილია 750 000 ლარი. მიმდინარე წლის მარტის თვეში, სოფლებში ჩატარებული მოსახლეობის კრებების მიერ განისაზღვრა აღნიშნული თანხებით განსახორციელებელი პროექტები ცალკეულ სოფლებში, რის მიხედვით შედგენილი იქნა შესაბამისი პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისი შესყიდვების განხორციელებისათვის საჭირო პროგრამის დამტკიცება საკრებულოს მიერ.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩამონათვალი თუ რომელ სოფელში რა ღონისძიება უნდა განხორციელდეს განკარგულების პროექტს დანართის სახით თან ერთვის.

ასევე განმარტავთ, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა, რომ განხორციელდეს აუცილებელია მისი დამტკიცება საკრებულოს მიერ.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 750 000 ლარს ფარგლებში.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 750 000 ლარს ოდენობით. რომლითაც განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია ან/და კეთილმოწყობა, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვა, ან/და გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვა.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ 750 000 ლარს ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური (სამსახურის უფროსი ს. ბოლქვაძე).

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2024 წლის -- მარტი

დაბა ქედა

მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური
დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს:

ა) მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური დოკუმენტი თანახმად დანართი №1-სა და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნები თანახმად დანართი №2-სა და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. დანართები №1 და №2 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს სტრატეგიებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

4. ამ განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 358)

6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური
დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება)
პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა შესაბამისად მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცება რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს დასახელებული საკითხის გარშემო შესასრულებელი რეგულაციების სამართლებრივად დაგეგმვა და განხორციელება

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება, რომელის მიღებაც უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცებას რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელება.

ასევე გაგიმარტავთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო) 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო რეზოლუცია „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. 2016 წელს საქართველომ გაეროს პოლიტიკურ ფორუმზე წარადგინა მდგრადი განვითარების პირველი ეროვნული მიმოხილვის ამსახველი ანგარიში და გამოთქვა სურვილი განეხორციელებინა 2030 წლისათვის დასახული მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები. საქართველოს პრემიერ მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის N14 ბრძანებით შეიქმნა მდგრადი განვითარების უწყებათაშორისი საბჭო, რომელმაც დაამტკიცა მდგრადი განვითარების ადგილობრივ დონეზე დანერგვის გეგმა. გეგმის მიხედვით განისაზღვრა მდგრადი განვითარების 17 მიზანი, რომლებიც მოიცავს 169 ამოცანის შესრულებას. ქედის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტისათვის აღნიშნული გეგმიდან გამომდინარე შერჩეული იქნა 14 მიზანი და 28 ამოცანა. მერიაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური დოკუმენტი. დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობდა, კოორდინაციას ახორციელებდა მთავრობის მიერ დანიშნული ეკონომიკური ექსპერტი ნიკოლოზ ჩანადირი.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცება, რომლის შესაბამისად დეტალურად არის წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, აქედან გამომდინარე აღნიშნული დოკუმენტის ძირითად არს წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება ადგილობრივ დონეზე.

გაცნობებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია – „ჩვენი

სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა“. 2017 წლის 6 ივლისს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის A/RES/71/313 რეზოლუციით დადგინდა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა ჩამონათვალი. მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებულებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა.

მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი მომზადდა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, რომელიც სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 7 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს. მისი კომპლექსურობის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და აქტიური მუშაობის შედეგად, თითოეული ამოცანის შესრულება გაიწერა დროში და დადგინდა **34 ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები (2030 წლისთვის)**. აღნიშნული მიდგომა უნიკალური შესაძლებლობაა მომავალში პროგრესის გაზომვისა და მიზნის შესრულების შეფასების კუთხით.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ მომდევნო წლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების თანხვედრის დადგენის მიზნით, განისაზღვრა ურთიერთკავშირი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და მიზნებს შორის. დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი ეხება მდგრადი განვითარების 3 განზომილებას – ეკონომიკურს, სოციალურსა და გარემოსდაცვითს. იგი წარმოადგენს იმ მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების ადგილობრივ განსაზღვრებას, რომლის შესაბამისადაც ქედის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვას 2030 წლამდე.

მიზნების დანერგვისა და მათი შესრულების მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნით, ქედის მუნიციპალიტეტის მერია ქმნის **მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოს** და განსაზღვრავს მის შემადგენლობას. საბჭოს ხელმძღვანელობს ქედის მუნიციპალიტეტის მერი. საბჭოს ქვეშ შექმნილია **3 თემატური სამუშაო ჯგუფი**: ჯანდაცვა და სოციალური ჩართულობა; ინფრასტრუქტურა და ეკონომიკური განვითარება; გარემოს დაცვა. მათ მუშაობას ანალიტიკურ და ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური. საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორებიდან.

მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის იანვარში. დანართი №2-ით, „ქედის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნები“, განსაზღვრულ წამყვან უწყებებს ევალებათ ანგარიშგება მოახდინონ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის წინაშე.

მუნიციპალიტეტში მდგრადი განვითარების მიზნების თაობაზე ყოველწლიური ანგარიში წარედგინება მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოს.

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია დეტალურად ასახულია წარმოდგენილი განკარგულების პროექტზე თანდართულ №1 და №2 დანართებში.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი (სულიკო ბოლქვაძე).

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური დოკუმენტი

შესავალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია¹ – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა“. 2017 წლის 6 ივლისს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის A/RES/71/313 რეზოლუციით დადგინდა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორთა ჩამონათვალი². მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები წარმოადგენს ათასწლეულის განვითარების მიზნების ლოგიკურ გაგრძელებას, რომელთა შესრულების ვადა 2000 – 2015 წლების პერიოდს მოიცავდა. 2015 წელს, ამ მიზნების შესრულების ვადის დასასრულს, გაეროს ათასწლეულის მიზნები გარდაიქმნა უფრო ყოვლისმომცველ – მდგრადი განვითარების მიზნებად. 2015 წელს საქართველომ, გაეროს ყველა სხვა წევრ ქვეყანასთან ერთად, გამოთქვა სურვილი, განეხორციელებინა 2030 წლისთვის დასახული მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები.

2016 წელს, საქართველომ, ერთ-ერთმა პირველმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებიდან, მდგრადი განვითარების შესახებ გაეროს მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე (High Level Political Forum-HLPF) წარადგინა პირველი ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR)³ ამსახველი ანგარიში. ხოლო მეორე ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიში საქართველოს მხრიდან წარდგენილ იქნა 2020 წელს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის №14 ბრძანებით შექმნილი მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე წარდგენილ იქნა მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის გეგმა, რომელიც ერთხმად იყო მოწონებული საბჭოს წევრების მიერ.

გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზანი

მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

¹ <https://undocs.org/A/RES/70/1>

² <https://undocs.org/A/RES/71/313>

³ <https://sustainabledevelopment.un.org/memberstates/georgia>

მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება.

მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა.

მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის.

მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.

მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

მიზანი 12: მდგრადი მოხმარება და წარმოება.

მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.

მიზანი 14: ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის.

მიზანი 15: ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება.

მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალიტეტში დანერგვისა და კოორდინაციის პროცესი

ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, ქედის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების 11 მიზანი და 28 ამოცანა განისაზღვრა მუნიციპალურ პრიორიტეტად. მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის პროცესში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მერიის ყველა შესაბამისი სამსახური, მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი მომზადდა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, რომელიც სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 7 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს. მისი კომპლექსურობის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და აქტიური მუშაობის შედეგად, თითოეული ამოცანის შესრულება გაიწერა დროში და დადგინდა **34 ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები (2030 წლისთვის)**. აღნიშნული მიდგომა უნიკალური შესაძლებლობაა მომავალში პროგრესის გაზომვისა და მიზნის შესრულების შეფასების კუთხით.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ მომდევნო წლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების თანხვედრის დადგენის მიზნით, განისაზღვრა ურთიერთკავშირი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და მიზნებს შორის. დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

მიზანი

მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი ეხება მდგრადი განვითარების 3 განზომილებას – ეკონომიკურს, სოციალურსა და გარემოსდაცვითს. იგი წარმოადგენს იმ მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების ადგილობრივ განსაზღვრებას, რომლის შესაბამისადაც ქედის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვას 2030 წლამდე.

მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი

მიზნების დანერგვისა და მათი შესრულების მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნით, ქედის მუნიციპალიტეტის მერია ქმნის **მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოს** და განსაზღვრავს მის შემადგენლობას. საბჭოს ხელმძღვანელობს ქედის მუნიციპალიტეტის მერი. საბჭოს ქვეშ შექმნილია **3 თემატური სამუშაო ჯგუფი**: ჯანდაცვა და სოციალური ჩართულობა; ინფრასტრუქტურა და ეკონომიკური განვითარება; გარემოს დაცვა. მათ მუშაობას ანალიტიკურ და ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური. საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორებიდან.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მონიტორინგს ქედის მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მონიტორინგის მიზნით შექმნილია სპეციალური ანგარიშების ფორმა, რომლის შევსებასა და მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოსათვის მიწოდებას უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური.

მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის იანვარში. დანართი №2-ით, „ქედის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნები“, განსაზღვრულ წამყვან უწყებებს ევალებათ ანგარიშება მოახდინონ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის წინაშე. მუნიციპალიტეტში მდგრადი განვითარების მიზნების თაობაზე ყოველწლიური ანგარიში წარედგინება მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოს.

მონიტორინგი მიზნად ისახავს ამოცანების შესრულების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, გრძელვადიან პერსპექტივაში მუნიციპალიტეტის საქმიანობის განვითარების ტენდენციების განსაზღვრას, გამოწვევების დადგენასა და შესაძლო ჩარევის სფეროების იდენტიფიცირებას. მონიტორინგის პროცესი ასევე გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას.

ანგარიშების ფორმის მეშვეობით მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების შესახებ ყოველწლიური ანგარიშება მოხდება შემდეგი სტატუსების მინიჭებით:

№	სტატუსი	პროგრესის შესაბამისად
1	არ დაწყებულა	0%
2	მიმდინარე – ნაწილობრივ შესრულდა	1%-50%
3	მიმდინარე – მეტწილად შესრულდა	51%-99%
4	განხორციელდა	100%
5	განხორციელდა დაგვიანებით	100%
6	გაუქმებულია	0%-99%
7	შეჩერებულია	0%-99%

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ მუნიციპალიტეტის მიმობილვის ანგარიში წარედგინება საქართველოს პრემიერ-მინისტრის, 2020 წლის 23 იანვრის, №14 ბრძანებით შექმნილ, მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს, წელიწადში ერთხელ, თებერვლის თვეში. ასევე, საბოლოო ანგარიში შემუშავდება 2030 წელს.

მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალური დოკუმენტის ტერმინთა განმარტება

მდგრადი განვითარების მიზნების ქედის მუნიციპალურ დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1. მიზანი:** 2015 წლის 25 სექტემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის A/RES/70/1 რეზოლუციით მიღებული 2030 წლისთვის განსაზღვრული მიზანი http://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_70_1_E.pdf;
- 2. გლობალური ამოცანა:** 2015 წლის 25 სექტემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის A/RES/70/1 რეზოლუციით განსაზღვრული ამოცანა http://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_70_1_E.pdf;
- 3. საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანა:** (i) ეროვნულ დონეზე, არსებული გამოწვევებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით ადაპტირებული გლობალური ამოცანა; (ii) გლობალური ამოცანის იდენტური ამოცანა; (iii) ახალი/დამატებითი ამოცანა;
- 4. ქედის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა:** (i) მუნიციპალიტეტის დონეზე, არსებული გამოწვევებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით ადაპტირებული გლობალური ამოცანა; (ii) გლობალური ამოცანის იდენტური ამოცანა; (iii) ახალი/დამატებითი ამოცანა;
- 5. გლობალური ინდიკატორი:** 2017 წლის 6 ივლისის გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის A/RES/71/313 რეზოლუციის დანართით განსაზღვრული ინდიკატორი <https://undocs.org/A/RES/71/313>;
- 6. ქედის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ინდიკატორი:** რაოდენობრივი ან თვისებრივი, მუნიციპალური ან ეროვნული ან გლობალურის იდენტური ინდიკატორი;
- 7. საბაზისო მაჩვენებელი:** ინდიკატორი, რომელიც ასახავს სტატისტიკურ სურათს 2022 წლის მდგომარეობით;
- 8. სამიზნე მაჩვენებელი-მიზანი 2030:** რაოდენობრივი ან თვისებრივი მაჩვენებელი რომელიც ზომავს ქედის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანის პროგრესს 2023/2030 წლისთვის;
- 9. მონაცემთა წყარო:** წყარო, სადაც მოიპოვება ინდიკატორებში მოცემული მონაცემები და მოწმდება დოკუმენტში წარმოდგენილი სტატისტიკის სიზუსტე და პროგრესი;
- 10. წამყვანი სამსახური:** ამოცანის შესრულებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულები ან მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირი.

ქედის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნები							დანართი N2.
გლობალური ამოცანა	მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა	გლობალური ინდიკატორი	მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი - მიზანი 2030	მონაცემთა წყარო	წამაყვანი სამსახური
მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა							
1.3 ყველა ადამიანისთვის განხორციელდეს შესაფერისი სოციალური დაცვის სისტემები და ზომები, მათ შორის მინიმალური ნორმები და 2030 წლისთვის მიღწეულ იქნეს ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების არსებითი დაფარვა	1.3 მიღებულ იქნას შესაფერისი მუნიციპალური ზომები, რათა 2030 წლისთვის მიღწეულ იქნეს ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების არსებითი დაფარვის ხელშეწყობა და გაძლიერება	1.3.1 სოციალური დაცვის მინიმალური ნორმებით/სისტემებით დაფარული მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით; ბავშვების, უმუშევრების, ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ორსული ქალების, ახალშობილების, საწარმოო ტრავმების მსხვერპლებისა და ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების ხაზგასმით	1.3.1.1 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოწყვლადი ადამიანების დაფარვის ხელშეწყობისა და გაძლიერების მიზნით განხორციელებული სოციალური პროგრამების რაოდენობა, რომლებიც ითვალისწინებს ფულადი და არაფულადი სოციალური დახმარების გაწევას მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით	წელი: 2022 მაჩვენებელი: 15	წელი: 2030 მაჩვენებელი: 20	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განმრთვლობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განმრთვლობისა და სოციალური დაცვის სამსახური
			1.3.1.2 წლის განმავლობაში მოწყვლადი ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამრთად	წელი: 2022 მაჩვენებელი: 1 262 837	წელი: 2030 მაჩვენებელი: 1700000 ლარი	ქედის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განმრთვლობისა და სოციალური დაცვის სამსახური

<p>1.4 2030 წლისთვის უზრუნველყოფილ იქნას, რომ ყველა მამაკაცსა და ქალს, განსაკუთრებით სიღარიბეში მყოფ და მოწყვლად პირებს, ჰქონდეთ თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებთან მიმართებაში, ასევე უზრუნველყოფილ იქნას მათი ხელმისაწვდომობა საბაზისო მომსახურებებზე, მიწისა და ქონების სხვა ფორმების მფლობელობასა და მართვაზე, მემკვიდრეობაზე, ბუნებრივ რესურსებზე, სათანადო უახლეს ტექნოლოგიებსა და ფინანსურ სერვისებზე, მათ შორის მიკროსაფინანსო მომსახურებაზე</p>	<p>1.4 2030 წლისთვის უზრუნველყოფილი იქნას, რომ ყველა მამაკაცსა და ქალს, განსაკუთრებით სიღარიბეში მყოფთ და მოწყვლად პირებს, ჰქონდეთ წვდომა ძირითად მუნიციპალურ მომსახურებებზე</p>	<p>1.4.1 იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება ძირითად მომსახურებებზე</p>	<p>1.4.1.1 იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება წყალმომარაგების სისტემაზე,</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: 42%</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: 69 %</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>
			<p>1.4.1.2 იმ ქუჩების პროპორციული ოდენობა სადაც ექსპლუატაციაშია სანიადვრე ქსელი</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: 18%</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: 70 %</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>
			<p>1.4.1.3 იმ ქუჩების პროპორციული ოდენობა სადაც ექსპლუატაციაშია გარე განათება</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: 70%</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: 90 %</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>

<p>1.5 2030 წლისთვის დარიბი და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ამტანობისა და რთული ვითარებიდან გამოსვლის შესაძლებლობების გაზრდა; ასევე მათი დაუცველობისა და მოწყვლადობის შემცირება კლიმატთან დაკავშირებული ექსტრემალური მოვლენებისა და სხვა ეკონომიკური, სოციალური და გარემოსთან დაკავშირებული შოკებისა და კატასტროფების მიმართ</p>	<p>1.5 2030 წლისთვის დარიბი და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ამტანობისა და რთული ვითარებიდან გამოსვლის შესაძლებლობების გაზრდა; ასევე მათი დაუცველობისა და მოწყვლადობის შემცირება ეკონომიკური, სოციალური და უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებული შოკებისა და კატასტროფების მიმართ</p>	<p>1.5.1 სიკვდილიანობის, დაკარგული და კატასტროფის შედეგად დაზარალებული ადამიანების რაოდენობა 100,000 კაცზე</p>	<p>1.5.1.1 საჭიროების შემთხვევაში, თავშესაფარის გარეშე დარჩენილი დატაკი მოსახლეობის, უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული ოჯახების და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების (რომელთა საცხოვრისი დაზიანდა) საცხოვრისით უზრუნველყოფისათვის ან საცხოვრებელი პირობების რეაბილიტაცია/გაუმჯობესებისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობა ეროვნულ ვალუტაში</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: 622 000 ლარი</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: 750000 ლარი</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>
--	---	--	---	---	--	--	--

<p>1.ა სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის განვითარების სფეროში გაფართოებული თანამშრომლობის მეშვეობით, რესურსების მნიშვნელოვანი მობილიზების უზრუნველყოფა ქვეყნების, განსაკუთრებით ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების განვითარებისთვის ადეკვატური და პროგნოზირებადი საშუალებების უზრუნველსაყოფად და პროგრამებისა და სხვადასხვა პოლიტიკის განსახორციელებლად სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით</p>	<p>1.ა სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის განვითარების სფეროში გაფართოებული თანამშრომლობის მეშვეობით, რესურსების მნიშვნელოვანი მობილიზების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის ადეკვატური და პროგნოზირებადი საშუალებების უზრუნველსაყოფად და პროგრამებისა და სხვადასხვა პოლიტიკის განსახორციელებლად სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით</p>	<p>1.ა.2 ძირითად სერვისებზე (განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა) მთავრობის მთლიანი ხარჯვის პროპორციული ოდენობა</p>	<p>1.ა.2 ძირითად სერვისებზე (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა) მთლიანი ბიუჯეტის პროპორციული ოდენობა</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: 21.6%</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: 25 %</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური</p>
---	---	--	---	--	---	---	---

მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა

<p>2.1 2030 წლისთვის დასრულდეს შიმშილი და უზრუნველყოფილი იქნას ყველა ადამიანისათვის, განსაკუთრებით ღარიბი მოსახლეობისათვის, ბავშვების და მოწყვლადი ადამიანებისათვის, მათ შორის ახალშობილებისათვის, ხელმისაწვდომობა ნოციერ და საკმარისი ოდენობის სურსათზე მთელი წლის განმავლობაში</p>	<p>2.1 2030 წლისთვის დასრულდეს შიმშილი და უზრუნველყოფილი იქნას ყველა ადამიანისათვის, განსაკუთრებით ღარიბი მოსახლეობისათვის და მოწყვლადი ადამიანებისათვის, ხელმისაწვდომობა ნოციერ და საკმარისი ოდენობის სურსათზე მთელი წლის განმავლობაში</p>	<p>2.1.1 არასაკმარისად ნოციერი საკვების გავრცელების დონე</p>	<p>2.1.1.1 მუნიციპალიტეტში ხორციელდება პროგრამა, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი საჭიროების მქონე მოქალაქეებს საკვებით მთელი წლის განმავლობაში</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: შესაბამისი საჭიროების მქონე მოქალაქეები სრულად არიან უზრუნველყოფილნი უფასო საკვებით</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: შესაბამისი საჭიროების მქონე მოქალაქეები სრულად არიან უზრუნველყოფილნი უფასო საკვებით</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>
--	---	--	--	--	--	---	---

მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის

<p>3.6 2020 წლისთვის მსოფლიო მასშტაბით ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და დაზიანებების რაოდენობის განახევრება</p>	<p>3.6 მუნიციპალიტეტში ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და დაზიანებების რაოდენობის შემცირების მიზნით ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა უსაფრთხო გადაადგილებისათვის</p>	<p>3.6.2 2030 წლისთვის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და დაზიანებების რაოდენობის შემცირება</p>	<p>3.6.2.1 მუნიციპალური გზების სიგრძის პროპორციული მაჩვენებელი, რომელიც სრულად არის მოწყობილი უსაფრთხო გადაადგილებისათვის</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: 28.3%</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: 45 %</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>
<p>3.8 ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის მიღწევა, მათ შორის ფინანსური რისკებისგან დაცვა, ჯანდაცვის ხარისხიანი ძირითადი სერვისების მისაწვდომობა, ასევე უსაფრთხო, ეფექტიანი, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ძირითადი მედიკამენტებისა და ვაქცინების მისაწვდომობა</p>	<p>3.8 ჯანდაცვის სერვისებით საყოველთაო დაფარვის მიღწევა, მათ შორის ფინანსური რისკების დაცვა, ჯანდაცვის ძირითადი სერვისების ხელმისაწვდომობა, ასევე უსაფრთხო, ეფექტიანი და ხარისხიანი მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა</p>	<p>3.8.1 ჯანდაცვის ძირითადი სერვისებით დაფარვა (განისაზღვრება როგორც ძირითადი სერვისების საშუალო დაფარვა მეთვალყურეობის (tracer) ინტერვენციებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს რეპროდუქციულ, დედათა, ახალშობილთა და ბავშვთა ჯანმრთელობას, ინფექციურ დაავადებებსა და არაგადამდებ დაავადებებს, მომსახურების შესაძლებლობასა და ხელმისაწვდომობას მთლიანად მოსახლეობისთვის და მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენებისთვის)</p>	<p>3.8.1.1 მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხის ოდენობა ეროვნულ ვალუტაში</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: 1 075 960 ლარი</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: 1600000 ლარი</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>

მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის

<p>4.2 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის ადრეულ ასაკში განვითარების, ზრუნვისა და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა ისინი მზად იყვნენ დაწყებითი განათლებისათვის</p>	<p>4.2 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის ადრეულ ასაკში განვითარებისა და ზრუნვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა ისინი მზად იყვნენ სკოლამდელი განათლებისათვის</p>	<p>4.2.2 ორგანიზებულ სასწავლო პროცესში ბავშვების მონაწილეობის მაჩვენებელი, სქესის მიხედვით (ერთი წლით ადრე სკოლაში სწავლების დაწყების ოფიციალურ ასაკამდე)</p>	<p>4.2.2.1 ორგანიზებულ სასწავლო პროცესში, მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, ბავშვების (2-დან 6 წლის ასაკამდე) მონაწილეობის მაჩვენებელი, სქესის მიხედვით.</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: გოგო - 90% ბიჭი - 82%</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: გოგო - 96% ბიჭი - 94%</p>	<p>ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება</p>	<p>ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება</p>
<p>4.5 2030 წლისთვის განათლებაში უთანასწორობების აღმოფხვრა და მოწყვლადი ადამიანებისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, მკვიდრი მოსახლეობისა და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისთვის განათლებისა და პროფესიული სწავლების ყველა დონეზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა</p>	<p>4.5 2030 წლისთვის ბავშვებისთვის, მათ შორის მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისთვის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა უთანასწორობების აღმოფხვრის მიზნით</p>	<p>4.5.1 თანასწორობის მაჩვენებლები (ქალი/მამაკაცი, სოფლად/ქალაქში მცხოვრები, სიმდიდრის ყველაზე მაღალი/ყველა დაბალი კვინტილის მქონე და სხვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მქონე, მკვიდრი მოსახლეობა და კონფლიქტით დაზარალებული პირები, როდესაც ხელმისაწვდომი იქნება მონაცემები) ამ ჩამონათვალში მოცემული ყველა სასწავლო ინდიკატორისთვის, რომელთა კლასიფიცირება შესაძლებელია</p>	<p>4.5.1.1 მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებით მოსაგებლე ბავშვების პროპორციული მაჩვენებელი</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: 86,2%</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: 95%</p>	<p>ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება</p>	<p>ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება</p>

<p>4.ა ბავშვებზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ორიენტირებული და გენდერულად მგრძობიარე სასწავლო დაწესებულებების მშენებლობა და განახლება. ყველასათვის უსაფრთხო, არაძალადობრივი, ინკლუზიური და ეფექტიანი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა</p>	<p>4.ა ბავშვებზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ორიენტირებული და გენდერულად მგრძობიარე სასწავლო დაწესებულებების მშენებლობა და განახლება. ყველასათვის უსაფრთხო, არაძალადობრივი, ინკლუზიური და ეფექტიანი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა</p>	<p>4.ა.1 იმ სკოლების პროპორციული რაოდენობა, რომელთაც აქვთ:</p> <p>(ა) ელექტროენერგია;</p> <p>(ბ) ინტერნეტი სასწავლო მიზნებისათვის;</p> <p>(გ) კომპიუტერები სასწავლო მიზნებისათვის;</p> <p>(დ) ადაპტირებული ინფრასტრუქტურა და მასალები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის;</p> <p>(ე) სასმელი წყალი;</p> <p>(ვ) საპირფარეშოები ცალ-ცალკე გოგონებისა და ბიჭებისათვის;</p> <p>(ზ) ხელსაბანები (წყლის, სანიტარიული პირობებისა და ჰიგიენის (WASH) ინდიკატორების განსაზღვრებათა მიხედვით)</p>	<p>4.ა.1.1 იმ საბავშვო ბაღების პროპორციული რაოდენობა, რომელთაც აქვთ:</p> <p>(ა) ელექტროენერგია;</p> <p>(ბ) ადაპტირებული ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის;</p> <p>(გ) სასმელი წყალი;</p> <p>(ვ) საპირფარეშოები ცალ-ცალკე გოგონებისა და ბიჭებისათვის;</p> <p>(ზ) ხელსაბანები</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი:</p> <p>(ა) ელექტროენერგია - 100%;</p> <p>(ბ) ადაპტირებული ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის - 14%;</p> <p>(გ) სასმელი წყალი - 100%;</p> <p>(ვ) საპირფარეშოები ცალ-ცალკე გოგონებისა და ბიჭებისათვის - 100%;</p> <p>(ზ) ხელსაბანები - 100%</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი:</p> <p>(ა) ელექტროენერგია - 100%;</p> <p>(ბ) ადაპტირებული ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის - 50%;</p> <p>(გ) სასმელი წყალი - 100%;</p> <p>(ვ) საპირფარეშოები ცალ-ცალკე გოგონებისა და ბიჭებისათვის - 100%;</p> <p>(ზ) ხელსაბანები - 100%</p>	<p>ა(ა)იმ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება</p>	<p>ა(ა)იმ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება</p>
მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება							
<p>5.1 ყველა ადგილას ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა</p>	<p>5.1 ყველა ადგილას ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის ხელშეწყობა</p>	<p>5.1.1 არსებობს თუ არა საკანონმდებლო ჩარჩო თანასწორობისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის არარსებობის ხელშეწყობის, აღსრულებისა და მონიტორინგის მიზნით</p>	<p>5.1.1.1 მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი:</p> <p>გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებელი დადებითია</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი:</p> <p>გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებელი დადებითია</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო</p>

5.5 პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა	5.5 პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა	5.5.2 ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების პროპორციული ოდენობა	5.5.2.1 ქალების წილი I და II რანგის მოხელის თანამდებობებზე	წელი: 2022 მაჩვენებელი: 30%	წელი: 2030 მაჩვენებელი: 50%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი
5.8 გენდერული თანასწორობის განვითარების, ასევე ქალთა და გოგონების ყველა დონეზე გაძლიერებისათვის ძლიერი პოლიტიკის დოკუმენტებისა და კანონმდებლობის მიღება და გაძლიერება	5.8 გენდერული თანასწორობის განვითარების, ასევე ქალთა და გოგონების ყველა დონეზე გაძლიერებისათვის ძლიერი პოლიტიკის დოკუმენტების მიღება და გაძლიერება	5.8.1 იმ ქვეყნების პროპორციული ოდენობა რომლებსაც აქვთ საჯარო ალოკაციების თვალყურის დევნების სისტემა გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერებისათვის	5.8.1.1 გენდერული თანასწორობის სტრატეგისა და სამოქმედო გეგმის არსებობა	წელი: 2022 მაჩვენებელი: გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არსებობს	წელი: 2030 მაჩვენებელი: გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არსებობს	ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო
მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა							
6.1 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სასმელ წყალზე საყოველთაო და თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა	6.1 2030 წლისთვის მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებლისათვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სასმელ წყალზე საყოველთაო და თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა	6.1.1 მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელიც სარგებლობს უსაფრთხოდ მართული სასმელი წყლის მომსახურებით	6.1.1 მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელიც სარგებლობს სასმელი წყლით მომსახურებით	წელი: 2022 მაჩვენებელი: 42%	წელი: 2030 მაჩვენებელი: 69 %	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური

<p>6.3 2030 წლისთვის წყლის ხარისხის გაუმჯობესება დაბინძურების შემცირებით, წყალში ნარჩევების გადაყრისა და სახიფათო ქიმიური ნივთიერების და მასალების ელიმინაციით, დაუმუშავებელი ჩამდინარე წყლების განახევრებითა და გადამუშავებისა და უსაფრთხო განმეორებითი გამოყენების გაზრდით გლობალურად</p>	<p>6.3 2030 წლისთვის წყლის ხარისხის გაუმჯობესება დაბინძურების შემცირებით, წყალში ნარჩევების გადაყრისა და სახიფათო ქიმიური ნივთიერების და მასალების ელიმინაციით, დაუმუშავებელი ჩამდინარე წყლების განახევრებითა და უსაფრთხო განმეორებითი გამოყენების გაზრდით გლობალურად</p>	<p>6.3.1 ჩამდინარე წყლების უსაფრთხო დამუშავების პროპორციული მაჩვენებელი</p>	<p>6.3.1 ჩამდინარე წყლების უსაფრთხო დამუშავების პროპორციული მაჩვენებელი</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: 17%</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: 35 %</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>
<p>მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა</p>							
<p>9.1 ხარისხიანი, სანდო, მდგრადი და გამძლე ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის რეგონული და ტრანსსასაზღვრო, ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის ხელშესაწყობად, რომელიც იქნება ყველასათვის თანაბარად ხელმისაწვდომი</p>	<p>9.1 ხარისხიანი, სანდო, მდგრადი და გამძლე ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის რეგონული ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის ხელშესაწყობად, რომელიც იქნება ყველასათვის თანაბარად ხელმისაწვდომი</p>	<p>9.1.1 სოფლის მოსახლეობის პროპორციული მაჩვენებელი რომლებიც ცხოვრობენ ყველა სეზონზე მომუშავე გზიდან 2 კმ-ში</p>	<p>9.1.1 სოფლის მოსახლეობის პროპორციული მაჩვენებელი რომლებიც ცხოვრობენ ყველა სეზონზე მომუშავე გზიდან 2 კმ-ში</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: 85%</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: 95 %</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>
<p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p>							

<p>11.1 2030 წლისთვის ყველასთვის ადექვატური, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საცხოვრისისა და ძირითადი სერვისების უზრუნველყოფა და მჭიდრო ღარიბი საცხოვრისების (ბარაკების) განახლება</p>	<p>11.1 2030 წლისთვის ყველასთვის ადექვატური, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საცხოვრისისა და ძირითადი სერვისების უზრუნველყოფა და დაზიანებული საცხოვრისების განახლება</p>	<p>11.1.1 იმ ურბანული მოსახლეობის პროპორცია, რომელიც ცხოვრობს მჭიდრო ღარიბ საცხოვრისებში (ბარაკებში), არაფორმალურ დასახლებებსა და არაადექვატურ საცხოვრისებში</p>	<p>11.1.1.2 საცხოვრისების განახლებისთვის გამოყოფილი თანხების (ეროვნულ ვალუტაში) ოდენობა მუნიციპალურ ბიუჯეტში</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: 785 101 ლარი</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: 1200000 ლარი</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</p>
<p>11.2 2030 წლისთვის უსაფრთხო, ფინანსურად ხელმისაწვდომი და მდგრადი სატრანსპორტო სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასათვის, კერძოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაფართოების საშუალებით, განსაკუთრებული ყურადღების დათმობით მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებისათვის, ქალები, ბავშვები, შშმ და მოხუცები</p>	<p>11.2 2030 წლისთვის უსაფრთხო, ფინანსურად ხელმისაწვდომი და მდგრადი სატრანსპორტო სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასათვის, კერძოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაფართოების საშუალებით, განსაკუთრებული ყურადღების დათმობით მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებისათვის, ქალები, ბავშვები, შშმ და მოხუცები</p>	<p>11.2.1 მოსახლეობის პროპორციული მაჩვენებელი ხელმისაწვდომი და მდგრადი სატრანსპორტო სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასათვის, კერძოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაფართოების საშუალებით, განსაკუთრებული ყურადღების დათმობით მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებისათვის, ქალები, ბავშვები, შშმ და მოხუცები</p>	<p>11.2.1.1 მუნიციპალური ტრანსპორტის საერთო რაოდენობაში ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებების ხვედრითი წილი (%)</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: 100%</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: 100%</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>
<p>11.6 2030 წლისთვის დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის, ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით</p>	<p>11.6 2030 წლისთვის მუნიციპალიტეტში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის, მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით</p>	<p>11.6.1 რეგულარულად შეგროვებული და შესაბამისად გადამუშავებული და განთავსებული მყარი ნარჩენების თანაფარდობა წარმოქმნილი მუნიციპალური მყარი ნარჩენების სრულ რაოდენობასთან, დახარისხებული ქალაქების მიხედვით</p>	<p>11.6.1.1 მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პროპორციული მაჩვენებელი, რომელიც სარგელობს დასუფთავების მუნიციპალური სერვისით</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: 85%</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: 100%</p>	<p>შ.პ.ს. ქედის კომუნალურსერვისი</p>	<p>შ.პ.ს. ქედის კომუნალურსერვისი</p>

11.7 2030 წლისათვის შეიქმნას უსაფრთხო, ინლუზიური და ხელმისაწვდომი მწვანე და საჯარო სივრცეები, განსაკუთრებით ქალაქისთვის და ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის და შშმ პირებისთვის	11.7 2030 წლისათვის შეიქმნას უსაფრთხო, ინლუზიური და ხელმისაწვდომი მწვანე და საჯარო სივრცეები, განსაკუთრებით ქალაქისთვის და ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის და შშმ პირებისთვის	11.7.1 ქალაქების მოწყობილი სივრცის საშუალო წილი რომელიც ღიაა საზოგადოებრივი გამოყენებისათვის ყველასათვის, ნებისმიერი სქესის, ასაკის და შშმ-თვის	11.7.1.1 მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილი სივრცის სიდიდე რომელიც ღიაა საზოგადოებრივი გამოყენებისათვის ყველასათვის, ნებისმიერი სქესის, ასაკის და შშმ-თვის	წელი: 2022 მაჩვენებელი: 4 500 კვ.მ.	წელი: 2030 მაჩვენებელი: 5 000 კვ.მ	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური
მიზანი 12: მდგრადი მოხმარება და წარმოება							
12.7 სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკის განვითარება ეროვნული პოლიტიკებისა და პრიორიტეტების შესაბამისად	12.7 სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკის განვითარება ეროვნული პოლიტიკებისა და პრიორიტეტების შესაბამისად	12.7.1 ქვეყნების რაოდენობა რომლებიც იყენებენ მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკებსა და სამოქმედო გეგმებს	12.7.1 მუნიციპალიტეტში სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების შესაბამისად	წელი: 2022 მაჩვენებელი: მუნიციპალიტეტი შესყიდვებს ახორციელებდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად	წელი: 2030 მაჩვენებელი: მუნიციპალიტეტი შესყიდვებს განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე							
16.2 ბავშვთა სასტიკი მოპყრობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგისა და ყველა სახის ძალადობის ფორმისა და წამების აღმოფხვრა	16.2 ბავშვთა სასტიკი მოპყრობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგისა და ყველა სახის ძალადობის ფორმისა და წამების აღმოფხვრა	16.2.1 1-17 ასაკის ბავშვების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც გამოუცდათ რაიმე სახის ფიზიკური დასჯა და/ან ფსიქოლოგიური აგრესია მომვლელების მხრიდან, ბოლო ერთი თვის განმავლობაში	16.2.1 1-17 ასაკის ბავშვების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც გამოუცდათ რაიმე სახის ფიზიკური დასჯა და/ან ფსიქოლოგიური აგრესია, ბოლო ერთი წლის განმავლობაში	წელი: 2022 მაჩვენებელი: 0	წელი: 2030 მაჩვენებელი: 0	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

16.6 ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე	16.6 ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე სტრუქტურების შექმნა მუნიციპალურ დონეზე	16.6.1 მთავრობის ძირითადი ხარჯები თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის წილის სახით, სექტორების მიხედვით (ან ბიუჯეტის კოდების თუ მსგავსი პარამეტრების მიხედვით)	16.6.1.1 მუნიციპალური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი	წელი: 2022 მაჩვენებელი: 89.1%	წელი: 2030 მაჩვენებელი: 98 %	ქედის მუნიციპალიტეტი ს საფინანსო სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური
16.7 ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა	16.7 ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა	16.7.1 საჯარო დაწესებულებებში (ეროვნულ და ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში, მართლმსაჯულების სისტემაში) პოზიციების პროპორციები (სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით) ეროვნულ საერთო განაწილებებთან შედარებით	16.7.1.1 ქალთა წილი I და II რანგის მოხელის თანამდებობებზე	წელი: 2022 მაჩვენებელი: 30%	წელი: 2030 მაჩვენებელი: 45 %	ქედის მუნიციპალიტეტი ს მერიის ადმინისტრაციული სამსახური, ქედის მუნიციპალიტეტი ს საკრებულოს აპარატი	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი
16.10 საზოგადოებისთვის ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად	16.10 საზოგადოებისთვის ინფორმაციაზე მუდმივი წვდომის უზრუნველყოფა	16.10.1 წინა 12 თვის განმავლობაში ჟურნალისტიკის, მედიასთან დაკავშირებული პირების, პროფკავშირების წარმომადგენლებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების მკვლელობის, გატაცების, იძულებითი გაუჩინარების, თვითნებური დაკავებისა და წამების დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა	16.10.1.1 მუნიციპალიტეტის მერია პროაქტიულად უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85 პრიმა მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შესაბამისი წესით	წელი: 2022 მაჩვენებელი: 100%	წელი: 2030 მაჩვენებელი: 100%	ქედის მუნიციპალიტეტი ს მერიის ადმინისტრაციული სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

		<p>16.10.1.2 მუნიციპალიტეტის მერია დროულად უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის მიწოდებას წერილობითი (მათ შორის ელექტრონული ფორმით) მოთხოვნის შესაბამისად</p>	<p>წელი: 2022 მაჩვენებელი: 100%</p>	<p>წელი: 2030 მაჩვენებელი: 100%</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური</p>	<p>ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური</p>
--	--	---	--	--	---	---



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2024 წლის -- მარტი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (რ. ბერიძეს) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა ტბელ აბუსერიძის ქ. №10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის II - სართულზე არსებული 129,10 კვ.მ. საოფისე ფართის (ს/კ:21.03.34.040.01.500) შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის (ს/ნ-446758946) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა მან განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემა. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 21 თებერვალს შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დირექტორის წერილობით მოთხოვნაზე ორგანიზაციისათვის ახალი საოფისე ფართის უსასყიდლო უზუფრუქტით, სარგებლობაში გადაცემა, რაზედაც გაცნობებთ, რომ შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს ადმინისტრაცია საოფისე საქმიანობას ეწევა სოფელ ქვედა მახუნცეთში (აწჰესის დასახლებაში) მე-5 ქუჩა, I ჩიხი, N 1-ში მდებარე 72,1 კვ. მეტრ შენობა-ნაგებობაში. სადაც ფართის სიმცირის გამო ვერ ახერხებს სხვადასხვა ტურისტული პროექტების განხორციელებას და საქმიანობის სრულყოფილად წარმართვას. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია საოფისე საქმიანობის განსახორციელებლად სარგებლობის უფლებით, (5 წლის ვადით), უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე განთავსებული 129,10 კვ. მეტრი (ს/კ 21.03.34.040.01.500) არასაცხოვრებელი ფართი.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა ტბელ აბუსერიძის ქ. №10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის II - სართულზე არსებული 129,10 კვ.მ. საოფისე ფართის (ს/კ:21.03.34.040.01.500) შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის (ს/ნ-446758946) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს აღნიშნული ქონების შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის (ბრძანება) მომზადება.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიღების შემდეგ, განახორციელოს დროულად აღნიშნული საკითხის მოწესრიგება.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ს. ბოლქვაძე .

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892023252645 - 10/11/2023 11:50:11

მომზადების თარიღი
15/11/2023 14:09:31

საკუთრების განყოფილება

მონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ქელა	დაბა ქელა				ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
21	03	34	040	01/500	დამუსტრებული ფართობი: 158.00 კვ.მ.

მისამართი: რაიონი ქელა , დაბა ქელა , ქუჩა გბელ-
აბუსერიძე , N 10

ნაკვეთის წინა ნომერი: 21.03.12.054;

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011259933 , თარიღი 02/06/2011 10:41:21

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა N173/01-19 , დამოწმების თარიღი: 23/05/2011 , ქელის მუნიციპალიტეტის გამგეობა
- ბრანება N1-1/695 , დამოწმების თარიღი: 06/05/2010 , საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი

მესაკუთრეები:

სსიპ ქელის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი: 246762061

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
სსიპ ქელის მუნიციპალიტეტი	საკუთრება	არასაცხოვრებელი ფართი	სართული2, 129.10 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახლო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვადებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგვით განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24014723, 07/02/2024 09:24:03

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი
სამართლებრივი ფორმა: შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 446758946
**რეგისტრაციის ნომერი,
თარიღი:** 05/03/2020
**მარეგისტრირებელი
ორგანო:** სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა
მახუნცეთი, მე-5 ქუჩა, I ჩიხი, №1

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- საერთო კრება
- დირექტორი

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი
რაულ ცინცაძე, 61008019619 ,ერთპიროვნული

კაპიტალი

ნებადართული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული კაპიტალი	არ არის განსაზღვრული
გამოშვებული წილი	არ არის განსაზღვრული
განთავსებული წილი	100 ერთეული

პარტნიორები

კლასის ტიპი: /კლასის გარეშე/ , რაოდენობა:100, ნომინალური ღირებულება:არ არის განსაზღვრული

მესაკუთრე	რაოდენობა	წილი	წილის მმართველი
ქედის მუნიციპალიტეტი, 246762061	100	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის

სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;

- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405 405 ან პირადად შევასეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405 405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405 405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



ქედის მუნიციპალიტეტის 2023
წლის ბიუჯეტის შესრულების
მიმოხილვა



ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

I თავი. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

ქედის მუნიციპალიტეტის **2023** წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსავლები	24 369,739	24 296,482	100%
გადასახადები	15 402,400	15 382,649	100%
გრანტები	8 461,939	8 330,251	98%
სხვა შემოსავლები	505,400	583,582	115%
ხარჯები	16 073,683	15 502,736	96%
შრომის ანაზღაურება	5 982,805	5 950,429	99%
საქონელი და მომსახურება	3 642,888	3 388,352	93%
პროცენტი	18,400	9,788	53%
სუბსიდიები	2 938,917	2 773,961	94%
გრანტები	6,350	6,350	100%
სოციალური უზრუნველყოფა	1 538,793	1 491,465	97%
სხვა ხარჯები	1 945,530	1 882,390	97%
საოპერაციო სალდო	8 296,056	8 793,746	106%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9 604,892	9 250,797	96%



ზრდა	9 634,892	9 260,222	96%
კლება	30,000	9,425	31%
მთლიანი სალდო	-1 308,836	-457,051	35%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 335,836	-483,841	36%
ზრდა	0,000	-483,841	0
ვალუტა და დეპოზიტები	1 335,836	483,841	36%
კლება	27,000	26,790	99%
საშინაო	27,000	26,790	99%
ბალანსი	0,000	0,00000	

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები,
გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

#	შემოსულობების დასახელება	2023 წლის გეგმა	საკასო შესრულება	შესრულება%
1	შემოსულობები	24 399 739	24 305 907	99,62%
1,1	შემოსავლები	24 369 739	24 296 482	99,70%
1,2	არაფინანსური აქტივების კლება	30 000	9 425	31,42%
2	გადასახდელები	25 735 575	24 789 748	96,32%
2,1	ხარჯები	16 073 683	15 502 736	96,45%
2,2	არაფინანსური აქტივების ზრდა	9 634 892	9 260 222	96,11%
2,3	ვალდებულებების კლება	27 000	26 790	99,22%
	ნაშთის ცვლილება	-1 335 836	-483 841	



ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის
ბიუჯეტის შემოსულობები

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 24 399 739 ლარი, რაც შემოსულობების 2023 წლის გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 15 382 649 ლარი (შემოსულობების 63,3%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 8 330 251 ლარი (შემოსულობების 34,3%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 583 582 ლარი (შემოსულობების 2,4%) და არაფინანსური აქტივების კლებაზე - 9 425 ლარი.


ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს (დანართი №1).

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის
ფაქტიური შემოსულობები

#	შემოსულობების დასახელება	საკასო შესრულება	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	16 865 902	100%
1,1	გადასახადები	11 296 425	66,98%
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	5 171 609	30,66%
1,3	სხვა შემოსავლები	388 443	2,30%
2	არაფინანსური აქტივების კლება	9 425	0,08%




შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების
მდგომარეობა შემდეგია:



#	შემოსულობების დასახელება	2023 წლის გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება%
1	შემოსავლები	24 369 739	24 296 482	-73 257	99,70%
1,1	გადასახადები	15 402 400	15 382 649	-19 751	99,87%
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	8 461 939	8 330 251	-131 688	98,44%
1,3	სხვა შემოსავლები	505 400	583 582	78 182	115,47%
2	არაფინანსური აქტივების კლება	30 000	9 425	-20 575	31,42%
ჯამი		24 399 739	24 305 907	-93 832	99,62%





ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება გეგმასთან მიმართებაში




ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა (ცხრილი/გრაფიკები)

#	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი
1	შემოსავლები	7 441 652	10 249 919	9 510 301	10 105 754	11 670 892	12 355 951	16 032 888	18 818 507	24 296 481
1,1	გადასახადები	93 318	716 805	943 743	905 920	6 549 917	7 127 711	9 484 721	12 902 820	15382648
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	7 042 869	8 887 589	8 274 920	8 543 615	4 846 472	4 991 643	5 997 007	5 287 900	8330251
1,3	სხვა შემოსავლები	305 465	645 525	291 638	656 219	274 503	236 597	551 160	627 787	583582
2	არაფინანსური აქტივების კლება	2 386	20 476	24 377	9 065	42 167	122 530	31 516	14 775	9425
სულ ჯამი		7 444 038	10 270 395	9 534 678	10 114 819	11 713 059	12 478 481	16 064 404	18 833 282	24 305 906






შემოსულობები



■ გადასახადები ■ გრანტები და ფინანსური დახმარება ■ სხვა შემოსავლები ■ არაფინანსური აქტივების კლება



■ გადასახადები ■ გრანტები და ფინანსური დახმარება
■ სხვა შემოსავლები ■ არაფინანსური აქტივების კლება



შემოსავლები

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 24 399 739 ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 24 305 906 ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 99.61%.


შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

გადასახადები

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 15 382649 ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის _ 15 402400 ლარის 99.87%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 63.3%-ს.

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა (ცხრილი/გრაფიკი)

№	შემოსავლის სახე	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	შესრულება			
												2023 წ. გეგმასთან		2022 წ. ფაქტთან	
												გადახრა ლარი	%	გადახრა ლარი	%
1	დამატებული ღირებულების გადასახადები					6445888	6792099	9155635	12461196	15002400	14979614	-22 786	99,85%	2518418	120,21%
2	ქონების გადასახადი	93249	522566	541040	554516	83286	335612	329086	441624	400000	403035	-35 847	100,76%	-38589	91,26%
2,1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	479	849	1363	3069	3361	1646	2903	3891	3000,00	4843,64	1 844	161,45%	953	124,48%
2,2	საწარმოთა ქონების გადასახადი	43320	462647	461003	472512	-7950	244838	257294	361406	367000,00	329308,93	-37 691	89,73%	-32097	91,12%
2,3	მიწის გადასახადი	49450	59070	78673	78934	87875	89128	68888	76327	30000	68882,26	38 882	229,61%	-7445	90,25%
2,3,1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	48185	56581	76878	76498	84553	85843	64913	70747	30000	61543,13	31 543	205,14%	-9204	86,99%
2,3,2	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	1265	2490	1796	2437	3322	3284	3976	5580	0	7339,13	7 339	#DIV/0!	1759	131,53%
	სულ	93 249	522 566	541 040	554 516	6 529 174	7 127 711	9 484 721	12 902 820	15 402 400	15 382 649	-58 634	111,10%	2 479 828	156,90%



საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:


ქონების გადასახადი - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2023 წლის გეგმიური მაჩვენებელი 400 000 ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 403 035 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 100,75 %-ია.


დამატებული ღირებულების გადასახადი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადიდან 19% ნაწილდება მუნიციპალიტეტებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მომზადებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაიანგარიშებს და ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახავს მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრულ დამატებული ღირებულების გადასახადში თითოეული მუნიციპალიტეტის



კუთვნილი წილის პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის 2023 წლის გეგმიური მაჩვენებელი 15 002400 ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 14 979614 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 99.85%-ია.

დამატებული ღირებულების გადასახადის 2023 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2022 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 2 518418 ლარით (20,21%-ით) გაზრდილია.





2023 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 8 330 250,95 ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 8 461 939 ლარს, რაც გეგმის - 98.44% შეადგენს.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში გრანტების (ფინანსური დახმარების) წილი 34,3%-ია



#	შემოსულობების დასახელება	2023 წლის დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა
1	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	8 461 939	8 330 251	-131 688
1,1	სპეციალური ტრანსფერი	1 100 000	1 063 397,60	-36 602
1,2	კაპიტალური ტრანსფერი	6 850 000	6 754 914	-95 086
1,3	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	511 939	511 939,00	0
	ჯამი	8 461 939	8 330 251	-131 688

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები

2023 წლის განმავლობაში ქედი ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 8 330 251 ათასი ლარი, მათ შორის:

- კაპიტალური ტრანსფერი - კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 6 754 914 ლარი, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №2);

- სპეციალური ტრანსფერი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 1 063 398 ლარი, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №3);

- რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (სპეციალური ტრანსფერი) - 511 939 ლარი, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №4);



სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2023 წლის საპროგნოზო მოცულობა 505 400 ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 583 582 ლარი, ანუ გეგმის 115,47%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 2,4%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტიური მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 213 567 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (260 500 ლარი) 81,98%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 129 341 ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- რენტის სახით მიღებულია 84 226 ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 82 761 ლარი, მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 1 465 ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 43 971 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (50 000 ლარი) 87,94%-ია. აქედან:

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით _ 27 810 ლარი, მათ შორის:
- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) _ 4 797 ლარი;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის _ 23 013 ლარი;
- შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან – 16 161 ათასი ლარი;

სანქციები, ჯარიმები და საურავები მობილიზებულია 41 619 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (54 900 ლარი) 75,81%-ია, აქედან:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში _ 4205 ლარი;



შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში _ 2410 ლარი;

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო _ 18760 ლარი;

უბილეთო მგზავრობის გამო _ 60 ლარი,

სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში _ 375 ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო _ 6420 ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო _ 140 ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო _ 9000 ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) _ 250 ლარი.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მობილიზებულია 284 426 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (140 000 ლარი) 203,16%-ია


სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალის სახით _ 1607 ლარი;

შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის სახით _ 4973 ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით _ 277 847 ლარი.



ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა



ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები


შემოსულობების დასახელება	2023 წლის გეგმა	საკასო შესრულება
სხვა შემოსავალი	505 400	583 582
შემოსავალი საკუთრებიდან	260 500	213 567
პროცენტი	160 500	129 341



რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა	160 500	129 341
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	160 500	129 341
რენტა	100 000	84 226
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	98 000	82 761
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	10 000	15 000
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	50 000	41 408
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	15 000	120
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	0	370
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	23 000	25 863
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2 000	1 465
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	50 000	43 971
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	35 000	27 810
სანებართვო მოსაკრებლები	10 000	4 797
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	10 000	4 797
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	25 000	23 013
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	15 000	16 161
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	15 000	16 161
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწვიდან	15 000	16 161
სანქციები, ჯარიმები და საურავები	54 900	41 619
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	44 200	32 369
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში	11 200	4 205



შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	3 000	2 410
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგ ზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	30 000	19 195
საგ ზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	25 000	18 760
უბილეთო მგ ზავრობის გამო		60
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგ ზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	5 000	375
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო		6 420
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო		140
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	8 700	9 000
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	2 000	250
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	140 000	284 426
მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	140 000	284 426
სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	140 000	284 426
სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი	0	1 607
შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგ ზავრო გადაყვანის ნებართვაზე		4 973
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	140 000	277 847



არაფინანსური აქტივების კლება

2023 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა - 9425 ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (30 000 ათასი ლარის) 31,42%-ია. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს და შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან.



ქედის მუნიციპალიტეტის საბანკო და სახაზინო ანგარიშებზე მიღებულ შემოსულობების
შესახებ 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

ნაშთი საანგარიშო წლის დასაწყისში (01.01.2023)	შემოსულობები საანგარიშო პერიოდში	ხარჯი საანგარიშო პერიოდში	ნაშთი საანგარიშო წლის ბოლოს (01.01.2024)
1 422 626	24 296 482	24 780 322	938 786


ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის
ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში





ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა
ფუნქციონალური კლასიფიკაციის ქრილში


დასახელება	2023 წლის გეგმა	საკასო შესრულება	შესრუ- ლების %	%-ლი წილი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 496,101	4 283,628	95,27%	17,30%
ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 354,401	4 155,041	95,42%	16,78%
ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 336,600	4 155,041	95,81%	16,78%
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	17,801	0,000	0,00%	0,00%
ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	18,400	9,788	53,20%	0,04%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	123,300	118,799	96,35%	0,48%
თავდაცვა	128,400	114,933	89,51%	0,46%
სამოქალაქო თავდაცვა	128,400	114,933	89,51%	0,46%
ეკონომიკური საქმიანობა	4 218,170	4 151,897	98,43%	16,77%
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა,მეთევზეობა და მონადირეობა	8,000	7,899	98,74%	0,03%
სოფლის მეურნეობა	8,000	7,899	98,74%	0,03%
ტრანსპორტი	3 824,970	3 772,397	98,63%	15,23%
საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3 824,970	3 772,397	98,63%	15,23%
ეკონომიკის სხვა დარგები	385,200	371,601	96,47%	1,50%
ტურიზმი	385,200	371,601	96,47%	1,50%
გარემოს დაცვა	1 581,150	1 472,054	93,10%	5,94%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 581,150	1 472,054	93,10%	5,94%



საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5 318,298	5 026,699	94,52%	20,30%
კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 675,300	2 432,398	90,92%	9,82%
წყალმომარაგება	1 317,725	1 312,678	99,62%	5,30%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 325,273	1 281,622	96,71%	5,18%
ჯანმრთელობის დაცვა	921,240	863,584	93,74%	3,49%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	921,240	863,584	93,74%	3,49%
დასვენება, კულტურა და რელიგია	3 005,755	2 956,851	98,37%	11,94%
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	741,040	711,046	95,95%	2,87%
მომსახურება კულტურის სფეროში	2 264,715	2 245,805	99,17%	9,07%
განათლება	3 938,251	3 820,672	97,01%	15,43%
სკოლამდელი აღზრდა	2 967,000	2 860,216	96,40%	11,55%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	971,251	960,456	98,89%	3,88%
სოციალური დაცვა	2 101,210	2 072,639	98,64%	8,37%
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	32,000	30,969	96,78%	0,13%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2 069,210	2 041,670	98,67%	8,24%
გადასახდელების ჯამი	25 708,575	24 762,957	96,32%	

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ფუნქციონალურ ჭრილში (გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2023 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 4496,101 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 4 283.628 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 95.27%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 17.30%-ს.

თავდაცვის სფეროზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 114.933 ათასი ლარით, გეგმა შეადგენდა 128.400 ათასი ლარი, ამ სფეროში გაერთიანებულია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.



ეკონომიკური საქმიანობისთვის დაგეგმილი იყო 4 218.170 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 4 151.897 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 98.43%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 16.77%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტი და გზების რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობისა და შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის ფუნქციონირებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 1 581.150 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 1 472.054 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 93.10%. ამ სფეროში გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანის ღონისძიებები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 5.94%-ია.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის კომუნალური მეურნეობის განვითარება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების ხარჯები, შეადგენდა 5 318.298 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 5 026.699 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 94.52%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 20.30%-ს.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 921.240 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 863.584 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 93.74%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 3.49%-ს. მასში გაერთიანებულია ამბულატორიული მომსახურების, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა უზრუნველყოფის, სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის, ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსების, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 3 005.755 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 2 956.851 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 98.37%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 11.94%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტული მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის, ა(ა)იპ ქედის



კულტურის ცენტრის, ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმის, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობის, ინტელექტუალურის და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტის ხარჯები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 3 938.251 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 3 820.672 ათას ლარს, ანუ გეგმის 97.01%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდა და განათლების, ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შეფასების მქონე სტუდენტების ფულადი ჯილდოთი წახალისების, ა.ა.(ი)პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების, ა.ა.(ი).პ ქედის სასპორტო სკოლის, ა.ა.(ი).პ ქედის სახელოვნებო სკოლის ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 15.43%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 2 101.210 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 2 072.639 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.64%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 8.37%-ს. იგი მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის; ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარების; ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების; გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების; ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის, ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამის, შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფის, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარების, საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარების, მარტოხელა სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარების, ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის სერვისების თანადაფინანსების, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის, სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარების ხარჯებს.



ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები
ეკონომიკურ ჭრილში

№	დასახელება	2023 წლის გადასახდელები გეგმა-ხარჯი (დაზუსტებული)			
		გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	%-ლი წილი
1	შრომის ანაზღაურება	5 982 805	5 950 429	99,5%	24,00%
2	საქონელი და მომსახურება	3 642 888	3 388 352	93,0%	13,67%
3	პროცენტი	18 400	9 788	53,2%	0,04%
4	სუბსიდიები	2 938 917	2 773 961	94,4%	11,19%
5	გრანტები	6 350	6 350	100,0%	0,03%
6	სოციალური უზრუნველყოფა	1 538 793	1 491 465	96,9%	6,02%
7	სხვა ხარჯები	1 945 530	1 882 390	96,8%	7,59%
8	არაფინანსური აქტივები	9 634 892	9 260 222	96,1%	37,36%
9	ვალდებულებები	27 000	26 790	99,2%	0,11%
გადასახდელების ჯამი		25 735 575	24 789 747	96,3%	

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 5 950.429 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 24.00%;

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3 388.352 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 13.67%;

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 9.788 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.04%;

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 2 773.961 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 11.19%;

გრანტების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 6.350 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.03%;

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1 491.465 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 6.02%;




სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 1 882.390 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 7.59%;

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 9 260.222 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 37.36%;

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 26.790 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.11%;





ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში

პროგრამულ ჭრილში ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 9 თვის
ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:




პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები		
		ბეგმა	საკასო შესრულება	შესრუ- ლების %
1	ქედის მუნიციპალიტეტი	25 735 575	24 789 747	96,32%
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4 651 501	4 425 351	95,14%
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 465 000	4 269 974	95,63%
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	186 501	155 377	83,31%
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	9 536 468	9 178 596	96,25%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3 824 970	3 772 397	98,63%
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	1 317 725	1 312 678	99,62%
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	754 125	754 051	99,99%
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	563 600	558 627	99,12%
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2 675 300	2 432 398	90,92%
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	470 400	459 308	97,64%
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	603 200	588 457	97,56%
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	1 601 700	1 384 633	86,45%



02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	380 273	376 108	98,90%
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	8 000	7 899	98,74%
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	750 000	713 398	95,12%
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	15 000	12 200	81,33%
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	385 200	371 601	96,47%
02 09	მთების ელექტროფიკაცია	180 000	179 917	99,95%
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 581 150	1 472 054	93,10%
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	1 581 150	1 472 054	93,10%
04 00	განათლება	2 987 000	2 879 516	96,40%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	2 967 000	2 860 216	96,40%
04 02	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა	20 000	19 300	96,50%
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3 957 006	3 898 007	98,51%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 420 116	1 388 608	97,78%
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2 536 890	2 509 400	98,92%
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3 022 450	2 936 223	97,15%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	921 240	863 584	93,74%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	2 101 210	2 072 639	98,64%

გადასახდელები ეკონომიკურ ქრილში




ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პრიორიტეტების ფაქტიურ ხარჯები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 4425.531 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება - 9 178.596 ათასი ლარი;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 472,054 ათასი ლარი;
- განათლება - 2 879.516 ათასი ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3 898,007 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2 936.223 ათასი ლარი.



ქედის მუნიციპალიტეტის გადასახდელების დინამიკა 2015-2023 წლებში



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით დეტალურად მოცემულია დანართის (დანართი №6) სახით.

ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 290.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 1.25%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში.

2023 წელს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 270 908.56 ლარი შეადგინა, დეტალური ინფორმაცია ცხრილის (დანართი №5) სახით თან ერთვის ანგარიშს.

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლები

ქედის
მუნიციპალიტეტი

ანგარიშგების 01/01/2023 - 31/12/2023

ფორმა # 1

პერიოდი:

პირდაპირი ჩარიცხვების გარეშე

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტი
0	ჯამური	25,728,533.22
1	შემოსავლები	24,296,481.73
1.1	გადასახადები	15,382,648.50
1.1.3	გადასახადები ქონებაზე	403,034.83
1.1.3.1	გადასახადები უძრავ ქონებაზე	403,034.83
1.1.3.1.1	ქონების გადასახადი	403,034.83
1.1.3.1.1.1	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	329,308.93
1.1.3.1.1.3	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4,843.64
1.1.3.1.1.3.2	არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	4,843.64
1.1.3.1.1.4	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	7,339.13
1.1.3.1.1.4.1	ფიზიკური პირებიდან	6,280.47
1.1.3.1.1.4.2	იურიდიული პირებიდან	1,058.66
1.1.3.1.1.5	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	61,543.13
1.1.3.1.1.5.1	ფიზიკური პირებიდან	3,932.98
1.1.3.1.1.5.2	იურიდიული პირებიდან	57,610.15
1.1.4	გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	14,979,613.67
1.1.4.1	საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	14,979,613.67
1.1.4.1.1	დამატებული ღირებულების გადასახადი	14,979,613.67
1.1.4.1.1.1	საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან	5,615,192.12
1.1.4.1.1.2	იმპორტირებული პროდუქციიდან	9,364,421.55
1.3	გრანტები	8,330,250.95
1.3.3	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	8,330,250.95
1.3.3.1	მიმდინარე	1,575,336.60
1.3.3.1.2	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან	1,575,336.60
1.3.3.1.2.1	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	1,575,336.60
1.3.3.1.2.1.1	სპეციალური ტრანსფერი	1,575,336.60
1.3.3.2	კაპიტალური	6,754,914.35
1.3.3.2.2	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან	6,754,914.35
1.3.3.2.2.1	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	6,754,914.35
1.3.3.2.2.1.2	კაპიტალური ტრანსფერი	6,754,914.35

1.4	სხვა შემოსავლები	583,582.28
1.4.1	შემოსავლები საკუთრიდან	213,566.70
1.4.1.1	პროცენტები	129,340.84
1.4.1.1.2	რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა	129,340.84
1.4.1.1.2.4	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	129,340.84
1.4.1.5	რენტა	84,225.86
1.4.1.5.1	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	82,760.86
1.4.1.5.1.1	მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	15,000.00
1.4.1.5.1.2	მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	41,408.29
1.4.1.5.1.4	მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	120.00
1.4.1.5.1.6	მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	370.00
1.4.1.5.1.9	სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	25,862.57
1.4.1.5.4	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,465.00
1.4.1.5.4.6	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი	1,465.00
1.4.2	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	43,970.72
1.4.2.2	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	27,810.17
1.4.2.2.3	სანებართვო მოსაკრებლები	4,797.30
1.4.2.2.3.12	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	4,797.30
1.4.2.2.14	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	23,012.87
1.4.2.3	არა საბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები	16,160.55
1.4.2.3.2	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	16,160.55
1.4.2.3.2.1	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	16,160.55
1.4.2.3.2.1.7	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, მიღებული შემოსავალი	16,160.55
1.4.3	სანქციები, ჯარიმები და საურავები	41,618.59
1.4.3.1	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	32,368.59
1.4.3.1.1	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში	4,204.51
1.4.3.1.3	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	2,409.90
1.4.3.1.3.5	სხვა შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	2,409.90
1.4.3.1.7	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	19,194.59

1.4.3.1.7.1	საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	18,759.59
1.4.3.1.7.3	უბილეთო მგზავრობის გამო	60.00
1.4.3.1.7.9	სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	375.00
1.4.3.1.7.9.5	სხვა დანარჩენი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	375.00
1.4.3.1.10	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	6,420.00
1.4.3.1.10.3	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის წესის ხელმყოფი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	6,420.00
1.4.3.1.99	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	139.59
1.4.3.4	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	9,000.00
1.4.3.9	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	250.00
1.4.3.9.9	შემოსავალი სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	250.00
1.4.4	ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	284,426.27
1.4.4.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	284,426.27
1.4.4.1.2	სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	284,426.27
1.4.4.1.2.5	სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი	1,606.50
1.4.4.1.2.7	შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	4,972.86
1.4.4.1.2.99	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	277,846.91
1.4.4.1.2.99.2	სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანისანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი	22,036.51
1.4.4.1.2.99.2.5	სახელმწიფოსადმი მიყენებული სხვა ზიანისანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი	22,036.51
1.4.4.1.2.99.4	შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან	255,580.40
	ხარჯები	1 408,850	0,000	1 408,850	0,000	1 299,80238	0,000
	სუბსიდიები	1 362,050	0,000	1 362,050	0,000	1 254,62088	0,000
	სხვა ხარჯები	46,800	0,000	46,800	0,000	45,18150	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	172,300	0,000	172,300	0,000	172,25200	0,000

03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	1 581,150	0,000	1 581,150	0,000	1 472,05438	0,000
	ხარჯები	1 408,850	0,000	1 408,850	0,000	1 299,80238	0,000
	სუბსიდიები	1 362,050	0,000	1 362,050	0,000	1 254,62088	0,000
	სხვა ხარჯები	46,800	0,000	46,800	0,000	45,18150	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	172,300	0,000	172,300	0,000	172,25200	0,000
03 01 01	მ.პ.ს. ქედის კომუნალურსერვისი	1 408,850	0,000	1 408,850	0,000	1 299,80238	0,000
	ხარჯები	1 408,850	0,000	1 408,850	0,000	1 299,80238	0,000
	სუბსიდიები	1 362,050	0,000	1 362,050	0,000	1 254,62088	0,000
	სხვა ხარჯები	46,800	0,000	46,800	0,000	45,18150	0,000
03 01 02	ნაგავშიდის შექმნა (ერთი ერთეული)	172,300	0,000	172,300	0,000	172,25200	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	172,300	0,000	172,300	0,000	172,25200	0,000
04 00	განათლება	2 987,000	0,000	2 987,000	0,000	2 879,51603	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	219,000	0,000	0,000	0,000	0,00000	0,000
	ხარჯები	2 842,500	0,000	2 842,500	0,000	2 741,22928	0,000
	შრომის ანაზღაურება	2 070,060	0,000	2 070,060	0,000	2 059,84071	0,000
	საქონელი და მომსახურეობა	729,500	0,000	729,500	0,000	647,08392	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	17,540	0,000	17,540	0,000	11,44535	0,000
	სხვა ხარჯები	25,400	0,000	25,400	0,000	22,85930	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	144,500	0,000	144,500	0,000	138,28675	0,000
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	2 967,000	0,000	2 967,000	0,000	2 860,21603	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	219,000	0,000	0,000	0,000	0,00000	0,000
	ხარჯები	2 822,500	0,000	2 822,500	0,000	2 721,92928	0,000
	შრომის ანაზღაურება	2 070,060	0,000	2 070,060	0,000	2 059,84071	0,000
	საქონელი და მომსახურეობა	729,500	0,000	729,500	0,000	647,08392	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	17,540	0,000	17,540	0,000	11,44535	0,000
	სხვა ხარჯები	5,400	0,000	5,400	0,000	3,55930	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	144,500	0,000	144,500	0,000	138,28675	0,000
04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ზაგა-ზაღების გაერთიანება	2 967,000	0,000	2 967,000	0,000	2 860,21603	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	219,000	0,000	0,000	0,000	0,00000	0,000
	ხარჯები	2 822,500	0,000	2 822,500	0,000	2 721,92928	0,000
	შრომის ანაზღაურება	2 070,060	0,000	2 070,060	0,000	2 059,84071	0,000
	საქონელი და მომსახურეობა	729,500	0,000	729,500	0,000	647,08392	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	17,540	0,000	17,540	0,000	11,44535	0,000
	სხვა ხარჯები	5,400	0,000	5,400	0,000	3,55930	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	144,500	0,000	144,500	0,000	138,28675	0,000
04 02	ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შეფასების მქონე სტუდენტების ფულადი ჯილდოთი წახალისება	20,000	0,000	20,000	0,000	19,30000	0,000
	ხარჯები	20,000	0,000	20,000	0,000	19,30000	0,000
	სხვა ხარჯები	20,000	0,000	20,000	0,000	19,30000	0,000
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3 952,006	0,000	3 957,006	0,000	3 898,00718	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	199,000	0,000	0,000	0,000	0,00000	0,000
	ხარჯები	2 982,256	0,000	2 985,792	0,000	2 934,15496	0,000
	შრომის ანაზღაურება	1 390,541	0,000	1 388,311	0,000	1 386,80407	0,000
	საქონელი და მომსახურეობა	1 249,627	0,000	1 232,863	0,000	1 198,50619	0,000
	სუბსიდიები	265,900	0,000	265,900	0,000	253,29489	0,000
	გრანტები	0,000	0,000	2,000	0,000	2,00000	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	2,330	0,000	2,330	0,000	2,32580	0,000
	სხვა ხარჯები	73,858	0,000	94,388	0,000	91,22401	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	969,750	0,000	971,214	0,000	963,85222	0,000

05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 420,116	0,000	1 420,116	0,000	1 388,60757	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	56,000	0,000	0,000	0,000	0,00000	0,000
	ხარჯები	1 001,076	0,000	1 001,076	0,000	974,91260	0,000
	შრომის ანაზღაურება	312,466	0,000	310,236	0,000	309,79941	0,000
	საქონელი და მომსახურება	354,452	0,000	336,152	0,000	323,45558	0,000
	სუბსიდიები	265,900	0,000	265,900	0,000	253,29489	0,000
	სხვა ხარჯები	68,258	0,000	88,788	0,000	88,36272	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	419,040	0,000	419,040	0,000	413,69497	0,000
05 01 01	ააიპ-ქედის სასპორტო სკოლა	673,876	0,000	679,076	0,000	677,56206	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	29,000	0,000	0,000	0,000	0,00000	0,000
	ხარჯები	593,476	0,000	598,676	0,000	597,21706	0,000
	შრომის ანაზღაურება	255,636	0,000	253,406	0,000	253,39948	0,000
	საქონელი და მომსახურება	271,782	0,000	279,182	0,000	277,72986	0,000
	სხვა ხარჯები	66,058	0,000	66,088	0,000	66,08772	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	80,400	0,000	80,400	0,000	80,34500	0,000
05 01 02	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	80,000	0,000	74,800	0,000	63,21572	0,000
	ხარჯები	80,000	0,000	74,800	0,000	63,21572	0,000
	საქონელი და მომსახურება	80,000	0,000	54,300	0,000	43,09072	0,000
	სხვა ხარჯები	0,000		20,500		20,12500	
05 01 03	სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა	330,600	0,000	330,600	0,000	317,47982	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	27,000	0,000	0,000	0,000	0,00000	0,000
	ხარჯები	327,600	0,000	327,600	0,000	314,47982	0,000
	შრომის ანაზღაურება	56,830	0,000	56,830	0,000	56,39993	0,000
	საქონელი და მომსახურება	2,670	0,000	2,670	0,000	2,63500	0,000
	სუბსიდიები	265,900	0,000	265,900	0,000	253,29489	0,000
	სხვა ხარჯები	2,200	0,000	2,200	0,000	2,15000	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,000	0,000	3,000	0,000	3,00000	0,000
05 01 03 01	საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერა ღონისძიებები	132,800	0,000	132,800	0,000	124,53700	0,000
	ხარჯები	132,800	0,000	132,800	0,000	124,53700	0,000
	სუბსიდიები	132,800	0,000	132,800	0,000	124,53700	0,000
05 01 03 02	სარაგბო კლუბის მხარდაჭერა ღონისძიებები	135,300	0,000	135,300	0,000	130,90789	0,000
	ხარჯები	135,300	0,000	135,300	0,000	130,90789	0,000
	სუბსიდიები	133,100	0,000	133,100	0,000	128,75789	0,000
	სხვა ხარჯები	2,200	0,000	2,200	0,000	2,15000	0,000
05 01 03 03	ააიპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“	62,500	0,000	62,500	0,000	62,03493	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	27,000					
	ხარჯები	59,500	0,000	59,500	0,000	59,03493	0,000
	შრომის ანაზღაურება	56,830	0,000	56,830	0,000	56,39993	0,000
	საქონელი და მომსახურება	2,670	0,000	2,670	0,000	2,63500	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,000	0,000	3,000	0,000	3,00000	0,000
05 01 04	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	335,640	0,000	335,640	0,000	330,34997	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	335,640	0,000	335,640	0,000	330,34997	0,000
05 01 04 01	ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ გოგიაშვილებში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	86,100	0,000	86,100	0,000	84,17041	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	86,100	0,000	86,100	0,000	84,17041	0,000
05 01 04 02	ქედის მუნიციპალიტეტში, დანდალოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ხარაულის ცენტრში მინი სპორტული მოედნის მოწყობა	145,540	0,000	145,540	0,000	142,24273	0,000


	არაფინანსური აქტივების ზრდა	145,540	0,000	145,540	0,000	142,24273	0,000
05 01 04 03	ზუნდაგის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	104,000	0,000	104,000	0,000	103,93683	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	104,000	0,000	104,000	0,000	103,93683	0,000
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2 531,890	0,000	2 536,890	0,000	2 509,39961	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	143,000	0,000	0,000	0,000	0,00000	0,000
	ხარჯები	1 981,180	0,000	1 984,716	0,000	1 959,24236	0,000
	შრომის ანაზღაურება	1 078,075	0,000	1 078,075	0,000	1 077,00466	0,000
	საქონელი და მომსახურეობა	895,175	0,000	896,711	0,000	875,05061	0,000
	გრანტები	0,000	0,000	2,000	0,000	2,00000	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	2,330	0,000	2,330	0,000	2,32580	0,000
	სხვა ხარჯები	5,600	0,000	5,600	0,000	2,86129	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	550,710	0,000	552,174	0,000	550,15725	0,000
05 02 01	ა.ა.ი.პ. ქედის კულტურის ცენტრი	1 489,030	0,000	1 489,030	0,000	1 482,70483	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	105,000	0,000	0,000	0,000	0,00000	0,000
	ხარჯები	1 398,330	0,000	1 398,330	0,000	1 392,32083	0,000
	შრომის ანაზღაურება	788,600	0,000	788,600	0,000	787,74745	0,000
	საქონელი და მომსახურეობა	605,500	0,000	605,500	0,000	600,58735	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	2,330	0,000	2,330	0,000	2,32580	0,000
	სხვა ხარჯები	1,900	0,000	1,900	0,000	1,66023	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	90,700	0,000	90,700	0,000	90,38400	0,000
05 02 02	ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა	272,175	0,000	272,175	0,000	263,59412	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	29,000	0,000	0,000	0,000	0,00000	0,000
	ხარჯები	272,175	0,000	272,175	0,000	263,59412	0,000
	შრომის ანაზღაურება	209,375	0,000	209,375	0,000	209,22864	0,000
	საქონელი და მომსახურეობა	62,400	0,000	62,400	0,000	54,36548	0,000
	სხვა ხარჯები	0,400	0,000	0,400	0,000	0,00000	0,000
05 02 03	ა.ა.ი.პ ქედის ისტორიული მუზეუმი	165,450	0,000	165,450	0,000	163,54754	0,000
	მომუშავეთა რიცხოვნობა	9,000	0,000	0,000	0,000	0,00000	0,000
	ხარჯები	158,740	0,000	157,276	0,000	155,37354	0,000
	შრომის ანაზღაურება	80,100	0,000	80,100	0,000	80,02857	0,000
	საქონელი და მომსახურეობა	78,340	0,000	76,876	0,000	75,14391	0,000
	სხვა ხარჯები	0,300	0,000	0,300	0,000	0,20106	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,710	0,000	8,174	0,000	8,17400	0,000
05 02 04	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა	112,435	0,000	112,435	0,000	107,97176	0,000
	ხარჯები	112,435	0,000	112,435	0,000	107,97176	0,000
	საქონელი და მომსახურეობა	109,435	0,000	107,435	0,000	104,97176	0,000
	გრანტები	0,000	0,000	2,000	0,000	2,00000	0,000
	სხვა ხარჯები	3,000	0,000	3,000	0,000	1,00000	0,000
05 02 05	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	39,500	0,000	44,500	0,000	39,98211	0,000
	ხარჯები	39,500	0,000	44,500	0,000	39,98211	0,000
	საქონელი და მომსახურეობა	39,500	0,000	44,500	0,000	39,98211	0,000
05 02 05 01	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	39,500	0,000	44,500	0,000	39,98211	0,000
	ხარჯები	39,500	0,000	44,500	0,000	39,98211	0,000
	საქონელი და მომსახურეობა	39,500	0,000	44,500	0,000	39,98211	0,000
05 02 06	კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა	453,300	0,000	453,300	0,000	451,59925	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	453,300	0,000	453,300	0,000	451,59925	0,000

05 02 06 01	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი	453,300	0,000	453,300	0,000	451,59925	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	453,300	0,000	453,300	0,000	451,59925	0,000
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 273,887	0,000	3 022,450	0,000	2 936,22304	0,000
	ხარჯები	2 053,187	0,000	2 801,750	0,000	2 715,58993	0,000
	საქონელი და მომსახურება	5,560	0,000	5,560	0,000	5,56000	0,000
	სუბსიდიები	273,197	0,000	273,197	0,000	244,42726	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	1 326,480	0,000	1 513,207	0,000	1 471,97755	0,000
	სხვა ხარჯები	447,950	0,000	1 009,786	0,000	993,62512	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	220,700	0,000	220,700	0,000	220,63311	0,000
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	921,240	0,000	921,240	0,000	863,58381	0,000
	ხარჯები	921,240	0,000	921,240	0,000	863,58381	0,000
	საქონელი და მომსახურება	5,560	0,000	5,560	0,000	5,56000	0,000
	სუბსიდიები	138,700	0,000	138,700	0,000	109,93026	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	776,980	0,000	776,980	0,000	748,09355	0,000
06 01 01	ამბულატორიული მომსახურების პროგრამა	138,700	0,000	138,700	0,000	109,93026	0,000
	ხარჯები	138,700	0,000	138,700	0,000	109,93026	0,000
	სუბსიდიები	138,700	0,000	138,700	0,000	109,93026	0,000
06 01 02	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება	160,665	0,000	160,665	0,000	160,04326	0,000
	ხარჯები	160,665	0,000	160,665	0,000	160,04326	0,000
	საქონელი და მომსახურება	5,560	0,000	5,560	0,000	5,56000	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	155,105	0,000	155,105	0,000	154,48326	0,000
06 01 03	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის	93,600	0,000	93,600	0,000	93,60000	0,000
	ხარჯები	93,600	0,000	93,600	0,000	93,60000	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	93,600	0,000	93,600	0,000	93,60000	0,000
06 01 04	ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	80,000	0,000	80,000	0,000	57,24158	0,000
	ხარჯები	80,000	0,000	80,000	0,000	57,24158	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	80,000	0,000	80,000	0,000	57,24158	0,000
06 01 05	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	440,000	0,000	440,000	0,000	434,53011	0,000
	ხარჯები	440,000	0,000	440,000	0,000	434,53011	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	440,000	0,000	440,000	0,000	434,53011	0,000
06 01 06	ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა	8,275	0,000	8,275	0,000	8,23860	0,000
	ხარჯები	8,275	0,000	8,275	0,000	8,23860	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	8,275	0,000	8,275	0,000	8,23860	0,000
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	1 352,647	0,000	2 101,210	0,000	2 072,63923	0,000
	ხარჯები	1 131,947	0,000	1 880,510	0,000	1 852,00612	0,000
	სუბსიდიები	134,497	0,000	134,497	0,000	134,49700	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	549,500	0,000	736,227	0,000	723,88400	0,000
	სხვა ხარჯები	447,950	0,000	1 009,786	0,000	993,62512	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	220,700	0,000	220,700	0,000	220,63311	0,000
06 02 01	სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა	32,000	0,000	32,000	0,000	30,96944	0,000

	ხარჯები	32,000	0,000	32,000	0,000	30,96944	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	32,000	0,000	32,000	0,000	30,96944	0,000
06 02 02	ვეტერანთა უკვდავების, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	81,750	0,000	81,750	0,000	75,93840	0,000
	ხარჯები	81,750	0,000	81,750	0,000	75,93840	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	20,500	0,000	20,600	0,000	20,60000	0,000
	სხვა ხარჯები	61,250	0,000	61,150	0,000	55,33840	0,000
06 02 04	ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება	105,000	0,000	105,000	0,000	99,00000	0,000
	ხარჯები	105,000	0,000	105,000	0,000	99,00000	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	105,000	0,000	105,000	0,000	99,00000	0,000
06 02 05	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	37,500	0,000	37,500	0,000	37,50000	0,000
	ხარჯები	37,500	0,000	37,500	0,000	37,50000	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	37,500	0,000	37,500	0,000	37,50000	0,000
06 02 06	შემოდიალურის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	32,500	0,000	32,500	0,000	31,53800	0,000
	ხარჯები	32,500	0,000	32,500	0,000	31,53800	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	32,500	0,000	32,500	0,000	31,53800	0,000
06 02 07	სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	54,500	0,000	54,500	0,000	54,48000	0,000

	ხარჯები	54,500	0,000	54,500	0,000	54,48000	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	54,500	0,000	54,500	0,000	54,48000	0,000
06 02 08	საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა	100,000	0,000	100,000	0,000	99,77476	0,000
	ხარჯები	100,000	0,000	100,000	0,000	99,77476	0,000
	სხვა ხარჯები	100,000	0,000	100,000	0,000	99,77476	0,000
06 02 09	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა	220,700	0,000	220,700	0,000	220,63311	0,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	220,700	0,000	220,700	0,000	220,63311	0,000
06 02 10	მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება	165,500	0,000	165,500	0,000	164,90000	0,000
	ხარჯები	165,500	0,000	165,500	0,000	164,90000	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	165,500	0,000	165,500	0,000	164,90000	0,000
06 02 11	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	14,400	0,000	14,400	0,000	14,34000	0,000
	ხარჯები	14,400	0,000	14,400	0,000	14,34000	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	14,400	0,000	14,400	0,000	14,34000	0,000
06 02 12	საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	26,200	0,000	26,200	0,000	26,20000	0,000
	ხარჯები	26,200	0,000	26,200	0,000	26,20000	0,000
	სუბსიდიები	26,200	0,000	26,200	0,000	26,20000	0,000
06 02 13	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	286,700	0,000	286,700	0,000	283,75996	0,000
	ხარჯები	286,700	0,000	286,700	0,000	283,75996	0,000
	სხვა ხარჯები	286,700	0,000	286,700	0,000	283,75996	0,000
06 02 14	მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება	87,600	0,000	87,600	0,000	85,20000	0,000
	ხარჯები	87,600	0,000	87,600	0,000	85,20000	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	87,600	0,000	87,600	0,000	85,20000	0,000
06 02 15	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის სერვისების თანადაფინანსება	108,297	0,000	108,297	0,000	108,29700	0,000
	ხარჯები	108,297	0,000	108,297	0,000	108,29700	0,000
	სუბსიდიები	108,297	0,000	108,297	0,000	108,29700	0,000
06 02 16	სტიქიისა და უზედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (ადგილობრივი და აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდი)	0,000	0,000	748,563	0,000	740,10856	0,000
	ხარჯები	0,000	0,000	748,563	0,000	740,10856	0,000
	სოციალური უზრუნველყოფა	0,000	0,000	186,627	0,000	185,35656	0,000
	სხვა ხარჯები	0,000	0,000	561,936	0,000	554,75200	0,000

ქედის მუნიციპალიტეტის მერი  როლანდ ბერიძე

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი  ჯემალ ტაკიძე




ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წ. წლიური დამატებითი გეგმა		2023 წ. წლიური დაზუსტებული გეგმა		2023 წ. III კვარტლის საკასო შესრულება	
		სულ	მათ შორის საბ. ბიუჯეტის ფონდები	სულ	მათ შორის საბ. ბიუჯეტის ფონდები	სულ	მათ შორის საბ. ბიუჯეტის ფონდები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 768,300	0,000	4 496,101	0,000	4 283,628	0,000
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 626,600	0,000	4 354,401	0,000	4 155,041	0,000
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 336,600	0,000	4 336,600	0,000	4 155,041	0,000
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	290,000	0,000	17,801	0,000	0,000	0,000
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	18,400	0,000	18,400	0,000	9,788	0,000
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	123,300	0,000	123,300	0,000	118,799	0,000
702	თავდაცვა	128,400	0,000	128,400	0,000	114,933	0,000
7021	სამოქალაქო თავდაცვა	128,400	0,000	128,400	0,000	114,933	0,000
704	ეკონომიკური საქმიანობა	4 218,170	0,000	4 218,170	0,000	4 151,897	0,000
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	8,000	0,000	8,000	0,000	7,899	0,000
70421	სოფლის მეურნეობა	8,000	0,000	8,000	0,000	7,899	0,000
7045	ტრანსპორტი	3 824,970	0,000	3 824,970	0,000	3 772,397	0,000
70451	საავტომობილო ტრანსპორტი	3 824,970	0,000	3 824,970	0,000	3 772,397	0,000
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	385,200	0,000	385,200	0,000	371,601	0,000
70473	ტურიზმი	385,200	0,000	385,200	0,000	371,601	0,000
705	გარემოს დაცვა	1 581,150	0,000	1 581,150	0,000	1 472,054	0,000
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 581,150	0,000	1 581,150	0,000	1 472,054	0,000
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	4 537,723	0,000	5 318,298	0,000	5 026,699	0,000
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 675,300	0,000	2 675,300	0,000	2 432,398	0,000
7063	წყალმომარაგება, მათ შორის სასმელი წყლით მომარაგება	1 287,150	0,000	1 317,725	0,000	1 312,678	0,000
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	575,273	0,000	1 325,273	0,000	1 281,622	0,000
707	ჯანმრთელობის დაცვა	921,240	0,000	921,240	0,000	863,584	0,000
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	921,240	0,000	921,240	0,000	863,584	0,000
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3 005,955	0,000	3 005,755	0,000	2 956,851	0,000
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	746,240	0,000	741,040	0,000	711,046	0,000
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2 259,715	0,000	2 264,715	0,000	2 245,805	0,000
709	განათლება	3 933,051	0,000	3 938,251	0,000	3 820,672	0,000
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 967,000	0,000	2 967,000	0,000	2 860,216	0,000
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	966,051	0,000	971,251	0,000	960,456	0,000
710	სოციალური დაცვა	1 352,647	0,000	2 101,210	0,000	2 072,639	0,000
7107	სოციალური გაუმჯობესების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	32,000	0,000	32,000	0,000	30,969	0,000
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 320,647	0,000	2 069,210	0,000	2 041,670	0,000
	სულ	24 446,636	0,000	25 708,575	0,000	24 762,957	0,000

ქედის მუნიციპალიტეტის მერი  როლანდ ბერიძე

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ჯემალ ტაკიძე



ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებული იქნა, რეგისტრირებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად. შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხდებოდა პერიოდულად ადგილობრივ ბიუჯეტში შესული ცვლილებების შესაბამისად, რის შედეგადაც ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ საბოლოოდ შეადგინა 10782173 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა შესყიდვების წლიური და ინდივიდუალური დაგეგმვა, დაგეგმვის პროცესში პასუხისმგებლობების სწორი გადანაწილება, მიწოდების ბაზრის კვლევა, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების პროპორციულად განსაზღვრა და სპეციფიკაციების შემუშავება აღნიშნული ტექნიკური პირობების მომზადებაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მერიის ყველა სამსახური თავიანთი დარგობრივი ფუნქციების შესაბამისად.

2023 წლის განმავლობაში ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად გაფორმებული იქნა სულ 229 ხელშეკრულება. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 10728624 ლარი. აქედან ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 8740946 ლარი, კონსოლიდირებული ტენდერით 1417375 ლარი, გამარტივებული შესყიდვით 570303 ლარი საიდანაც სააგენტოდან მიღებული ნებართვით გაფორმდა 383283 ლარის ხელშეკრულება ხოლო მონეტარული ზღვრების დაცვით გახარჯული იქნა 187020 ლარი.

შესყიდვების სააგენტოს თანხმობით „გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების რაოდენობა სამართლებლივი საფუძვლების მიხედვით ასე გადანაწილდა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით გამარტივებული შესყიდვით განხორციელებული იქნა 2 ღონისძიება ღირებულებით- 237600 ლარი; ექსკლუზიური უფლებამოსილებით 3 ღონისძიება, ღირებულებით 115108 ლარი და გადაუდებელი აუცილებლობით 1 ღონისძიება 30575 ლარი.

2022 წელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში საბოლოო სტატუსი მიენიჭა 129 ტენდერს რომელთაგანაც ხელშეკრულება დაიდო 93 ტენდერზე. არ შედგა-21, შეწყვეტილი იქნა-5 და უარყოფითი შედეგით დასრულდა 10 ტენდერი. აღნიშნული ტენდერებით გათვალისწინებული შესყიდვების

განსახორციელებლად განმეორებით იქნა გამოცხადებული ტენდერები, და შესაბამისად შესყიდვის გეგმით გათვალისწინებული ყველა შესყიდვა სრულყოფილად იქნა განხორციელებული.

გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 9416092 ლარი, ხოლო ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებულმა საბოლოო ფასმა 8871163 ლარი შეადგინა შესაბამისად, 2023 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული ტენდერების საშუალებით ეკონომია გაკეთდა და დაზოგილ იქნა 544929 ლარი.

ჩატარებული ელექტრონული ტენდერების ძირითადი ნაწილი 7335044 ლარი მოდის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, როგორცაა: მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მოსახლეობის სასმელი წყლის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, დაბის და ტერიტორიული ერთეულების ცენტრების კეთილმოწყობა, პარკებისა და სკვერების, გარე განათების მოწყობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, შიდა-საუბნო სასოფლო გზების მოწყობა, მინი სპორტული მოედნების მშენებლობა და სხვა ღონისძიებები

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით შესყიდვები განხორციელდა: სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველსაყოფად, „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების“ და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების პროგრამით გაიხარჯა სულ 237600 ლარი, შეჭირვებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნით შესყიდული იქნა 100000 ლარის ღირებულების სახურავის თუნუქი და სხვა.

ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლის და მონიტორინგის მიზნით, ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე გამოყოფილი არიან პასუხისმგებელ პირები თავიანთი დარგობრივი ფუნქციების შესაბამისად, ხოლო საამშენებლო სამუშაოებზე შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას და კონტროლს ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია. საანგარიშო პერიოდში სახელშეკრულებო ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების გამო, დაბა ქედაში ხანდაზმულთათვის განკუთვნილი სივრცის მშენებლობაზე გაფორმებული ხელშეკრულება შეუწყდა შპს „მშენებელთა ჯგუფი“-ს. მის მიმართ გავრცელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები და შავ სიაში რეგისტრაციის მიზნით დოკუმენტაცია გადაიგზავნა შესყიდვების სააგენტოში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ანგარიშგების საკითხებს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #2 ბრძანების „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამსად ხდებოდა შესყიდვებთან დაკავშირებული ანგარიშგების მომზადება და ერთიანი ელექტრონული სისტემაში ატვირთვა.

ქედის მუნიციპალიტეტის მირიის სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა

და მშენებლობის სამსახურის მიერ 2023 გაწეული მუშაობის

ანგარიში

2023 წლის ქედის მუნიციპალიტეტში კაპიტალური პროექტების განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სულ გამოყოფილი იყო 7713000 ლარი, აქედან აჭარის ბიუჯეტიდან დაფინანსებული კაპიტალური ტრანსფერი შეადგენდა 6 850000 ლარს.

აღნიშნული საბიუჯეტო თანხებიდან კაპიტალური პროექტების განხორციელებისათვის წლის განმავლობაში დაიხარჯა 74816000 ლარი ანუ გამოყოფილი მთლიანი ხარჯი 97,1 %.

საბიუჯეტო სახსრების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვები მთლიანად განხორციელდა ელექტრონული ტენდერების შედეგად. გამოვლენილ გამარჯვებულ მომწოდებლებთან გაფორმებული იქნა სულ 62 ხელშეკრულება. რის შესაბამისად 90 მეტი პროექტი იქნა შესრულებული.

აღნიშნული საბიუჯეტო სახსრების უმეტესი ნაწილი მოხმარდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, კერძოდ: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებს, სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოებს, სასმელი წყლის სისტემების მშენებლობის რემონტის სამუშაოებს, პარკების და კულტურის სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციას და სხვა კეთილმოწყობით სამუშაოებს .

მნიშვნელოვანი პროექტები რომლებიც გასული წლის განმავლობაში განხორციელდა არის სოფელ ქვედა აქუცისა და ვაიოს დამაკავშირებელი გზის მშენებლობა , რომლის ღირებულებამ შეადგინა 1387000 ლარი, ასევე ცალკეულ სოფლებში საუბნო - საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დამატებით დაიხარჯა 1955760 ლარი და განხორციელდა 14 პროექტი.მათ შორის მოეწყო საუბნო საავტომობილო გზები სოფელ ახოს ძერვენახის უბანში, დაბა ქედაში სამრეწველო უბანში ძენწმანის ტერიტორიაზე, სოფელ ვარჯანისში ბაიძეების უბანში. შეძენილი მზა ბეტონის საფარით დაიფარა 2710 გრ. მეტრი საუბნო საავტომობილო გზა. ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შეძენილი მზა ბეტონით დამატებით 3900 გრმ. მეტრი საუბნო გზის მონაკვეთი იქნა ბეტონირებული, გარდა ამისა საუბნო საავტომობილო გზებზე მოეწყო ფერდსამაგრი კედლები და სანიაღვრე არხები 24 ლოკაციაზე.

გარკვეული სამუშაოები ჩატარდა სოფლებში წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაციისთვის, სოფელ ორცვა- არსენაულისათვის მოწესრიგდა სასმელი წყლის სისტემა. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 754 000 ლარი. სოფელ მოსიაშვილებში მოეწყო ახალი სასმელი წყლის სისტემა რომლის ღირებულებამ 146 000 ლარი.

მუნიციპალიტეტის სოფლებში მეწყერული მოვლენების რისკების თავიდან აცილების მიზნით ჩატარებული იქნა მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, ბიუჯეტიდან გამოყოფილი 603 200 ლარით მოეწყო ფერდსამაგრი კედლები და სანიაღვრე არხები 12 ლოკაციაზე , სოფლებში : ჯალაბაშვილები, გულები, გოგიაშვილები , ტიბეთა, კოლოტაური, გეგელიძეები, პ/მაისი და ჭალახმელა.

რეაბილიტაცია ჩატარდა სპორტულ მოედნებს სოფელ გოგიაშვილებში, ხარაულაში და ზუნდაგაში, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 402 000 ლარი.

სოფლებსა და დაბა ქედაში კულტურული კერების რეაბილიტაცია მშენებლობისათვის დახარჯულმა თანხამ შეადგინა 718 000 ლარი. გარემონტდა დანდალოს კულტურის სახლი, მოეწყო დასასვენებელ პარკში, დაბა ქედაში ხანდაზმულთათვის განკუთვნილი დასასვენებელი სივრცე , სოფელ გარეტყეში და სოფელ ორცვაში სოფლის სახლები.

კეთილმოწყობითი სამუშაოები ჩატარდა დაბა ქედაში და შემდეგ სოფლებში, მერისში , ზედა აგარაში , მეძიბნაში, ძენწმანში, ცხემნაში და ხარაულაში , სადაც მოეწყო ფანჩატრები , სოფლის ცენტრები , სასაფლაოები და დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე გზის გასწვრის არსებული კედელი.

დასრულდა დაბა ქედაში რუსთაველის ქუჩაზე დასასვენებელი პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები და პარკის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები.

ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდა სოფლებში ავარიულ სახლებში მცხოვრები მოსახლეობისათვის ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა .

გასულ 2023 წელს აშენდა 4 ერთეული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. სოფელ ბზუბზუში , ორცვაში , ზუნდაგასა და ტიბეთაში, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 220 000 ლარი.

წარმატებით განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით დაფინანსებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლითაც გამოყოფილი იყო 755 000 ლარი და ათვისებული იქნა სრულდა. რომლის ძირითადი ნაწილი მოხმარდა სოფლებში გარე-განათების ქსელის გაფართოვებას და საუბნო გზების ბეტონის საფარის სამუშაოებს. სულ გარე - განათებაზე დაიხარჯა 242 700 ლარი და მოეწყო 640 ერთეული გარე-განათების ბოძი. შეძენილი იქნა 1200 კვ. მეტრი მზა ბეტონი და ბეტონის საფარით დაიფარა 3240 გრ. მეტრი საავტომობილო გზა.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისა და შესაბამისი შესყიდვების პროცესში მომწოდებლების მხრიდან გარკვეულ შეფერხებებს ქონდა ადგილი, კერძოდ: დაბა ქედაში რუსთაველის ქუჩაზე კეთილმოწყობითი სამუშაოების თაობაზე ხელ-ბა გაფორმებული იყო შპს „მ.მ“-თან , რომელმაც სამუშაოები დაასრულა ვადების დაღვევით და დაეკისრა შესაბამისი ჯარიმები, ასევე სახელშეკრულებით ღირებულება ვერ შეასრულე შპს „მშენებელი 2020“-მა, დანდალოს კულტურის სახლის მშენებლობაზე და შეუწყდა ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობები სრულყოფილად ვერ შეასრულა დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობაზე შპს, „მშენებელი -2016“ - მა და დაარღვია მშენებლობის ვადები. დაბა ქედაში ხანდაზმულთათვის განკუთვნილი სივრცის მშენებლობაზე შპს „მშენებელთა ჯგუფმა“ სრულყოფილად არ შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულება .

ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილ საპროექტო სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციებში აღმოჩენილი ხარვეზებისა, რიც გამოც საჭირო ხდება მშენებლობის პროცესში სახელშეკრულებო ვალდებულებებში ცვლილებების შეტანა.

2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრში არსებული ინფორმაცია

ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრმა 2023 წელს განმავლობაში მონაწილეობა მიიღო 24 ღონისძიებაში. ამავე პერიოდში უმასპინძლა 8 კულტურულ ღონისძიებას, ხოლო კულტურის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა 13 ღონისძიება.

2023 წლის განმავლობაში ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის ბიუჯეტით დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები:

1. დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კვირეული და კონცერტი.

კონცერტებში მონაწილეობდნენ: ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები, ბენდი, ინდივიდუალური შემსრულებლები, სტრუქტურულ ერთეულებთან არსებული ანსამბლები; დახრჯული თანხა **699.96 ლარი**.

2. 9 აპრილისადმი მიძღვნილ ღონისძიება - ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“ -9 აპრილის სახელობის სკვერი - 9 აპრილი - **760 ლარი**;

3. 14 აპრილს კულტურის ცენტრში გაიმართა დედაენის დღისადმი მიძღვნილი მხატვრული კითხვის კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდა 54 მოსწავლე. კონკურსში გამარჯვებული 10 მოსწავლე დაჯილდოვდა დიპლომებითა და საჩუქრებით. კონკურსანტთათვის დაიბეჭდა 54 ცალი დიპლომი. ღონისძიების ბიუჯეტი შეადგენდა **-1000 ლარს**.

4. „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“ - ხელოვან ნოდარ კახიძის სასცენო მოღვაწეობის 47 და დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა 20 აპრილს, რომლის ბიუჯეტიც შეადგენდა **1399 ლარს**.

5. 28 აპრილს ქედის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილებაში, გაიმართა წიგნისა და ბიბლიოთეკარის დღისადმი მიძღვნილი კვირეული რომელშიც მონაწილეობდნენ: სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის ვახტანგ პაპუნძის სახელობის დაბა ქედის, გეგელიძეების, სოფელ ახოს # 1, სოფელ დანდალოს, სოფელ კოკოტაურის, სოფელ ხარაულის, სოფელ პირველი მაისის, სოფელ კოლოტაურის, სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლების მოსწავლეები, ქედის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქედის კულტურის ცენტრის წარმომადგენლები, ასევე ყოფილი ბიბლიოთეკარები და აქტური მკითხველები. ღონისძიება დაფინანსდა **948 ლარით**;

6. პოეზიის სადამო ქედის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილებაში-მონაწილეობდნენ: სასოფლო კლუბებისა და კულტურის სახლების ხელმძღვანელები, საბიბლიოთეკო განყოფილების წევრები, მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის ნორჩ დეკლამატორთა წრის წევრები -25 ივლისი - ღონისძიების ბიუჯეტი **759 ლარი**;

7. პოეტ გურამ არძენაძის შემოქმედებითი სადამო „შუქბადრი სხივი მარგალიტების“- საბიბლიოთეკო განყოფილების მუშაკები, სასოფლო კლუბებისა და კულტურის სახლების წარმომადგენლები - 5 ოქტომბერი-**1040 ლარი**.

8. 16 ოქტომბერს აქუცის სასოფლო კლუბში გაიმართა ფოლკლორის სადამო - სოფელ აქუცაში მოძიებული ფოლკლორული მასალების წარდგენა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სასოფლო კლუბებისა და კულტურის სახლების ხელმძღვანელები, აქუცის კლუბთან არსებული ფოლკლორის წრის წევრები. ღონისძიება დაფინანსდა **950 ლარით**.

9. საბავშვო-საახალწლო კარნავალი - მონაწილეობდნენ: ქედის კულტურის ცენტრსა და სახელოვნებოს სკოლასთან არსებული ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, პირველი მაისის, ძენწმანის, ქედის, ოტომბრის საჯარო სკოლების მოსწავლეები 30 დეკემბერი - **4950 ლარი**;

კულტურის ცენტრის ორგანიზებით გამართულ ღონისძიებებზე 2023 წლის განვალობაში სულ დაიხარჯა **12 955.96 ლარი**.

2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში არსებული ინფორმაცია

ა.(ა).ი.პ.ქედის სახელოვნებო სკოლა განთავსებულია კულტურის ცენტრის პირველ სართულზე, რომელსაც 400 კვ.მ. მეტი ფართობი უჭირავს. სულ არის 9 კაბინეტი და სარეპეტიციო დარბაზი.

სკოლა თავისი არსებობის 56-ე წელს ითვლის.

იგი არის სკოლის გარეშე სახელოვნებო საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მოსწავლეს აძლევს სახელოვნებო განათლებას და ამზადებს მათ სწავლის გასაგრძელებლად უმაღლეს სასწავლებლებში.

სკოლა შემოიფარგლება სამი ძირითადი, საფორტეპიანო, საორკესტრო და ქორეოგრაფიული განყოფილებით. სკოლაში ფუნქციონირებს გიტარის შემსწავლელი წრე. 2023 წელს სკოლაში დაარსდა ანიმაციური ფილმების სტუდია, სადაც 9 მოსწავლე ეუფლება ანიმაციური ფილმების დამზადების ხელოვნებას.

ზემოთ აღნიშნულ განყოფილებებზე სულ სწავლობს 234 მოსწავლე, აქედან:

საფორტეპიანოზე 71

საორკესტრო 25

ქორეოგრაფია სულ 117, გოგონა 64 ბიჭი 53

გიტარა 12

ანიმაციის სტუდია 9

სკოლაში სულ დასაქმებულია 7 ადმინისტრაციული, 6 შტატგარეშე და 19 პედაგოგი, ყველა პედაგოგი დასაქმებულია დიპლომით მითითებული სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით.

სახელოვნებო სკოლას ჰყავს რამდენიმე ფოლკლორული ანსამბლი ესენია ქორეოგრაფიული ანსამბლი „საუნჯე“, ფოლკლორულ ინსტრუმენტული ანსამბლი „იასამანი“ და „ჩანგი“ რომლებიც არაერთხელ დაჯილდოვდნენ დიპლომებით, სიგელებით, ოქროს მედლებითა და ლაურეატის წოდებით კონკურსებსა თუ ფესტივალებში მონაწილეობისათვის.

ანსამბლი „ჩანგი“ მრავალი ფესტივალებისა და კონკურსების გამარჯვებულია. ანსამბლს მოპოვებული აქვს გასულ წლებში ოქროს მედლები, გრამპრი და პირველი ხარისხის დიპლომები. მოგეხსენებათ ანსამბლი ძირითადად მუშაობს ქართული

ფოლკლორის მიმართულებით, განსაკუთრებით ძირძველი ქედური სასიმღერო რეპერტუარით შემოიფარგლება. ანსამბლი არაერთხელ იმყოფებოდა საგასტროლოდ თურქეთში, ბულგარეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში. 2023 წელს ანსამბლმა „ჩანგმა“ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მიერ ორგანიზებულ ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადაზე მოიპოვა მეორე ადგილი, ფულადი ჯილდო და ხალხური მუსიკალური საკრავი „ფანდური“. ასევე ქ. მცხეთაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში „მომავალი ჩვენია“ მოიპოვა დიპლომი წარმატებული მონაწილეობისათვის, ხოლო 26 ნოემბერს ქ. თბილისში არტ ჰოლში ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით გამართულ საერთაშორისო საბავშვო და ახალგაზრდულ ფოლკლორულ ფესტივალში „მომავალი ჩვენია“ ანსამბლი დაჯილდოვდა წარმატებული გამოსვლისათვის ოქროს თასითა და ლაურეატის წოდებით და პირველი ხარისხის დიპლომებით. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში 2024 წლისათვის მიწვეული იქნა ბულგარეთის რესპუბლიკის ქალაქ ნესებრში მსოფლიოს ბავშვთა ფოლკლორის ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად. ასევე ანსამბლის ხელმძღვანელი ნაზი სურმანიძე დაჯილდოვებული იქნა „ხელოვნების ბრწყინვალეების ორდენით“ ქართული ფოლკლორული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ხანგრძლივი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. აქედან გამომდინარე სახელოვნებო სკოლის პედაგოგი ნაზი სურმანიძე რომელსაც კულტურის სფეროში მუშაობის თითქმის 50 წლიანი გამოცდილებისა და მრავალი მიღწეული წარმატებებისა სკოლის დირექციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა ერთხმადხად დაუჭირეს მხარი „საპატიო ქედელის“ წარსდგენის ინიციატივას და დირექციის თხოვნით მერიას წარედგინა დოკუმენტი მისი საპატიო ქედელის წოდების შესახებ, რომელიც დაკმაყოფილდა და მადლობას ვუხდით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიას მხარდაჭერისათვის.

ქორეოგრაფიული ანსამბლი „საუნჯე“ 2023 წლის 2-7 თებერვალს საგასტროლოდ ბაკურიანში იმყოფებოდა ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალ „ბორჯომ-ბაკურიანი 2023“ მონაწილეობის მისაღებათ, სადაც წარმატებული მონაწილეობისათვის გადაეცათ დიპლომები.

2023 წლის 13-18 ნოემბერს ქ. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი 2023“ ჩატარდა, რომელშიც ჩვენი სკოლის ანიმაციის სტუდიის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა სადაც შესაძლებლობა მიეცათ ენახათ ანიმაციური სტუდიის მოსწავლეთა დამზადებული ანიმაციური ფილმები, ვორგშოპები, ასევე გაეცნენ და დაეუფლენ ახალ ვიარ ტექნოლოგიებს. ფესტივალში მონაწილეობას ღებულობდნენ უცხო ქვეყნების ასისტენტ ანიმატორები, რომლებიც მონაწილეებს უტარებდნენ მასტერკლასებს ვიარტექნოლოგიის სწორად გამოყენების შეაძლებლობებზე.

მოგესხენებათ, მიმდინარეობს სახელოვნებო განათლების რეფორმა, რომელიც მოიაზრებს ინკლუზიურ სფეროსაც. სასიხარულოა ის გარემოება, რომ ამ მნიშვნელოვან პროცესში ჩვენმა სკოლამ მცირე წვლილი შეიტანა გამოცდილების გაზიარებით. საქართველოს კულტურის კომიტეტის 5 დეკემბერის სხდომაზე რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი ელისო ბოლქვაძე, ჩვენ მოგვეცა შესაზღებლობა პირდაპირი ჩართვით წარმოგვედგინა ჩვენი მოსაზრებები ამ მიმართულებით.

სახელოვნებო სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ, როგორც მუნიციპალიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. წლის განმავლობაში ჩატარდა სკოლის ღია და დახურული კონცერტები, პედაგოგთა კლასის და საანგარიშო კონცერტები.

2023 წელში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები

1. ბორჯომი-ბაკურიანი-საერთაშორისო ფესტივალი - ქორეოგრაფიული ანსამბლი „საუნჯე“
2. ქ. ბათუმი-სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა-ანსამბლი „საუნჯე“, ანსამბლი „ჩანგი“
3. ქედა-26 მაისი დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობა - ანსამბლი „ჩანგი“, ანსამბლი „საუნჯე“, ვოკალურ ინდივიდუალური შემსრულებლები
4. ქედის სახელოვნებო სკოლა-საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგ სალომე ხაბაზის კლასის კონცერტი.
5. ქ. ბათუმი სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი-ოლიმპიადაში გამარჯვებულთა დაჯილდოება - ანსამბლი „ჩანგი“ (დაჯილდოება)
6. ქედა-1 ივნისი-(ბავსვთა დაცვის დღე) -სახელოვნებო სკოლის ქორეოგრაფიული, ფოლკლორული ანსამბლების, ინდივიდუალური შემსრულებლების, საფორტეპიანო, საორკესტრო და სიმებიანი (ფანდური, გიტარა) კონცერტი.
7. ქედა-სახელოვნებო სკოლა -პედაგოგ ლამზირა ქაჯაიას კლასის კონცერტი.
8. ქედა-სახელოვნებო სკოლა -პედაგოგ ნონა ჭყონიას კლასის კონცერტი
9. ქედა-კულტურის ცენტრი-15 ივნისი სახელოვნებო სკოლის დასკვნითი კონცერტი
10. ქ. მცხეთა-საერთაშორისო ფესტივალი მომავალი ჩვენია-ანსამბლი „ჩანგი“

11. ქედა.სოფ.გეგელიძეები-ანიმაციური ფილმების საბავშვო ფესტივალი-სახელოვნებო სკოლის ანიმაციის სტუდიის მოსწავლეები
12. ქ.ბათუმი,სახელმწიფო ხელოვნების უნივერსიტეტი-ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“,მონაწილეობა სახელოვნებო სკოლის ანიმაციის სტუდიის მოსწავლეები
13. ქედა,სახალხო ზეიმი „შემოდგომა ქედაში“-მონაწილეობის მიღება ანსამბლი „ჩანგი,ანსამბლი „საუნჯე“,ინდივიდუალური შემსრულებლები
14. ქ.ბათუმი-აჭარის რადიო მაუწყებელი-ინტერვიუ ღია ეთერში სახელოვნებო სკოლის დირექტორთან,კულტურის სამსახურის ხელმძღვანელთან და ანიმაციის სტუდიის მოსწავლეთა ინტერვიუ
15. ქ.თბილისი-საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალი „მომავალი ჩვენია“ანსამბლი „ჩანგი“
16. ქედა-სახელოვნებო სკოლა 26 დეკემბერი პედაგოგ სალომე ხაბაზის კლასის კონცერტი

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2023 წელს
გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია არის მულტიფუნქციური ორგანო. კომისია შედგება საკრებულოს 8 წევრისაგან.

საანგარიშო პერიოდში კომისია თავის საქმიანობას წარმართავს სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია გასული წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა.

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაწეულ სამუშაოს.

კომისია სისტემატურად უზრუნველყოფდა ამ პერიოდის განმავლობაში შემოსული წერილების, განცხადებებისა და სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვას და შესაბამისი დასკვნების მომზადებას.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში მომზადებული და ჩატარებული იქნა კომისიის 6 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 10 საკითხი:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების -დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

3. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის#15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(დადგენილება) პროექტი.

4. არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირი-„ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-ს დაფუძნებაზე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის(განკარგულება) პროექტი

5. - „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

6. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ(დადგენილება) პროექტი.

7. ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის(დადგენილება) პროექტი.

8. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება პროექტი.

9. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება)პროექტი.

10. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილება პროექტი.

აღნიშნული საკითხებიდან საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 7 საკითხზე და შვიდივე გაგზავნილ იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტში სამართლებრივი კონსულტაციისთვის, საიდანაც შენიშვნებით დაბრუნდა 3 საკითხი, ხოლო შენიშვნების გარეშე 4 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ ინიცირებული იქნა 2 საკითხი.

1. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №გ-95. 95230904 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

აღნიშნული საკითხი ენობრივი სისწორის თვალსაზრისით კონსულტაციისათვის გაიგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, საიდანაც მოვიდა მერიის ზედამხედველობის სამსახურის „საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი“-ს ფორმის ჩასწორებული ნიმუში.

2. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №დ-19. დ-95. 95233631 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

კომისია აქტიურად თანამშრომლობდა სხვა კომისიებთან და საკრებულოს წევრებთან.

2024 წლისათვის იგეგმება კომისიის სამოქმედო სტრატეგიისა და სამუშაო გეგმის დახვეწა, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის კომისიის საქმიანობის ეფექტურობას.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № --

2024 წლის -- მარტი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის II კვარტლის
სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა თანახმად დანართი №1-სა.
2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებმა უზრუნველყონ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა და მომზადება დადგენილ ვადაში.
3. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	განხილვის თარიღი	საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე	საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე	პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე
1	ინიცირებული სამართლებრივი აქტის პროექტების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	აპრილი	საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი
3	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2023 წლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	აპრილი	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი
4	2023 წლის მდგომარეობით შპს „ქედის წყალკანალი“-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	აპრილი	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „ქედის წყალკანალი“-ს დირექტორი
5	2023 წლის მდგომარეობით ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	აპრილი	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ააიპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს დირექტორი
6	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წლის მდგომარეობით აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოსმენა	აპრილი	საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსი
7	2023 წლის განამავლობაში შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა-განხილვა	მაისი	საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს დირექტორი
8	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2024 წლის პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	მაისი	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
9	მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	მაისი	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი
10	2023 წლის მდგომარეობით ააიპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა-განხილვა	მაისი	საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ააიპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს დირექტორი
11	სოციალურ საკითხთა კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა	ივნისი	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
12	2023 წლის მდგომარეობით შპს რაგბის კლუბი "ფირალეები"-ში არსებული ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	ივნისი	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს რაგბის კლუბი "ფირალეები"-ს დირექტორი